2015 წელი, 19 – 25 მარტი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

# ახალი განათლება

№11 (685) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## ქართველი ახალგაზრდები არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული სახელმწიფოზე, ვეცადოთ შევქმნათ პერსპექტივა იმ რესურსით, რაც გაგვაჩნია

გვერდი 8



## ვაჟათი და რუსთველით ამაყი „მამაცი ქალის“ რეალობა

ბაპტისტურ-ევანგელური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე:

„საზოგადოება, სადაც სიამოვნებით გავზრდიდი შვილს, არის ის სივრცე, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მგელი არაა... სადაც ადამიანია ფასეული ისეთად, როგორიც არის, ვინც არის, რაც სწამს და რაც უყვარს... სადაც იციან რას წერდა ვაჟა, ვინაა ალუდა ქეთელაური, სადაც უყვართ ის ულამაზესი მხარე, რომელშიც ცხოვრობენ და სადაც ცელოფნის პარკებითა და პლასტმასის ბოთლებით არაა ამოვსებული ულამაზესი ხევები...“

სტუმარი



გვერდი 4

## 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეული საგნის მაქსიმალური, კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო მინიმალური ქულა და საგამოცდო დროის ხანგრძლივობა

| საგანი/გამოცდა | მაქსიმალური ქულა | კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო მინიმალური ქულა | გამოცდის ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 80 | 21 | 4 სთ. |
| ზოგადი უნარები | 80 | 24 | ვერბალური ნაწილი 1 სთ. და 30 წთ. |
| | | | მათემატიკური ნაწილი 1 სთ. და 30 წთ. |
| უცხოური ენები | 100 | 21 | 2 სთ. და 30 წთ. |
| ლიტერატურა | 80 | 21 | 4 სთ. |
| მათემატიკა | 59 | 15 | 3 სთ. და 30 წთ. |
| ისტორია | 70 | 18 | 2 სთ. და 30 წთ. |
| გეოგრაფია | 60 | 16 | 2 სთ. და 30 წთ. |
| ბიოლოგია | 75 | 19 | 2 სთ. და 30 წთ. |
| ქიმია | 75 | 19 | 3 სთ. და 30 წთ. |
| ფიზიკა | 75 | 19 | 3 სთ. და 30 წთ. |
| სტუდენტთა საგრანტო კონკურსი | 42 | - | 2 სთ. და 30 წთ. |
| სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 70 | 18 | 3 სთ. და 30 წთ. |
| სამოქალაქო განათლება | 60 | 16 | 3 სთ. |
| აფხაზური ენა | 80 | 21 | 4 სთ. |

აბიტურიენტთა გამოვლენა, რომელთაც კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო მინიმალური ქულა დააგროვეს, სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების გათანაბრების შემდეგ მოხდება. ამ ცვლილების შედეგად კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ის აბიტურიენტებიც, რომლებმაც პირველადი შედეგებით ზღვარი ვერ გადალახეს, მაგრამ მათი გათანაბრებული ქულა მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე მეტი აღმოჩნდა.

## ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და სტუდენტთა საგრანტო გამოცდებისათვის რეგისტრაცია 17 მარტს დასრულდა

17 მარტის მონაცემებით რეგისტრირებულია:

- 40 ათასზე მეტი აბიტურიენტი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის;
- 4 ათასზე მეტი აპლიკანტი საგრანტო კონკურსისათვის;
- 12 500-ზე მეტი კანდიდატი საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების მითითება თუ შეცვლა კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
ცხელი ხაზი – 247 33 33

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეხმაურება სამეგრელოში სკოლის მოსწავლეთა დასწრებას არასამთავრობო ორგანიზაციის „ყველა თაობა საქართველოსთვის“ მიერ მოწყობილ ფილმის ჩვენებაზე და განმარტავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, თამარ სანიკიძის №290, №291 და №292 ბრძანებების თანახმად, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა უკვე დაიწყო ზუგდიდის, ხობის და ფოთის რესურსცენტრების და მის დაქვემდებარებაში არსებული სკოლების ინსპექტირება.

სამინისტრო მიიჩნევს, რომ მომხდარი ფაქტი ბავშვთა უფლებების უხეში დარღვევაა, რადგან სკოლა აპოლიტიკური ორგანიზაციაა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის და მის დაქვემდებარებაში შემავალი ყველა საჯარო უწყებისთვის სკოლის პოლიტიზაციის ნებისმიერი გამოვლინება პრინციპულად მიუღებელია.

სამინისტრო კატეგორიულად ეწინააღმდეგება ბავშვებისა და მოზარდების დაშვებას მათთვის შეუფერებელ, მძიმე შინაარსის ინფორმაციასთან. შესაბამისად, როგორც მასწავლებელი, ასევე დირექტორი, სკოლის ადმინისტრაცია და რესურსცენტრი ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებები, სკოლის შინაგანაწესი და კანონი, რომლის დარღვევაც არავის ეპატიება.

სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს იმის დასადგენად, თუ როგორ მოხვდნენ ბავშვები ფილმის ჩვენებაზე და თუ დადასტურდა, რომ ამ პროცესში რაიმე ფორმით უწყების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, უმოკლეს დროში შესაბამისი ზომები იქნება მიღებული.

CMYK

პროფესიული განვითარების სქემა

# მასწავლებლებმა ძალიან კარგად უნდა იცოდნენ, საიდან სად მიდიან

ასეთი დოკუმენტის არსებობის აუცილებლობას ყოველთვის პრინციპულად ვუჭერდი მხარს და ახლაც ვუჭერ. მასწავლებლის პროფესია უნდა ცნობდეს კარიერულ წინსვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება მკვდარი პროფესია. არაერთხელ მითქვამს, რომ შორეულ 1976 წელს რომ დავამთავრე უნივერსიტეტი და დიპლომში ჩამიწერეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მას შემდეგ არავინ დაინტერესებულა ჩემით. განვითარდა სკოლა, შეიცვალა პროგრამები, შეიცვალა საზოგადოება, წიგნები, ბავშვები და ყველაფერი, მაგრამ რა მომივიდა მე, შევიცვალე და განვვითარდი თუ არა, აქამდე არც საზოგადოება დაინტერესებულა და არც სახელმწიფო. პირველი მცდელობა 90-იანი წლების მეორე ნახევარში გვქონდა, მასწავლებელთა ატესტაცია რომ ჩატარდა. ძალიან კარგად ვიცი, რა ხარვეზები ახლდა ამ პროცესს. სხვათა შორის, მაშინ არავინ არ ეხმარებოდა ამ სისტემას, გონივრულად, ნორმალურად რომ ჩატარებულიყო ატესტაცია და მალევე შეწყდა კიდეც, ეს იყო პედაგოგიური კარიერის გააზრების პირველი მცდელობა, ახლა მეორე მცდელობაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია!

მასწავლებელმა უნდა ვიცოდე, როგორ შემიძლია განვვითარდე, უნდა ვიცოდე ჩემს შრომას, ძალიან დაძაბულ, რთულ და მნიშვნელოვან შრომას საზოგადოებისთვის, რა დაფასება ელის, რომ მოტივაცია გამიჩნდეს, სირთულეების დასაძლევად, ყოველდღიური საქმიანობით, ვეცადო, უკეთესი გავხდე. თუ ეს მოტივაცია არ მექნება, თუ თვალნათლივ არ დავინახავ, როგორ შემიძლია ამ კიბეზე ავიდე, რა მატერიალურ და სოციალურ ბონუსებს მომიტანს ჩემი მცდელობები, ისე ეს პროფესია ვერასდროს ვერ გახდება მომხიბვლელი. კარგია, რომ სახელმწიფომ იზრუნა ამაზე და შემოგვთავაზა შესაბამისი დოკუმენტი. ეს ერთი მომენტია, მეორე და მნიშვნელოვანი – როგორია მისი შინაარსი? იდეალური დოკუმენტი არ არსებობს, რაც უფრო რთულია იგი, მით მეტი შანსი აქვს, იდეალურობას დაშორდეს. ამ დოკუმენტის შემქმნელებს ჰქონდათ ამოცანა, რაც შეიძლება მკაფიო, გასაგები ყოფილიყო მასწავლებლისთვის და დანარჩენი საზოგადოებისთვის ის პრინციპი, რაც საფუძვლად დაედო ახალ სქემას. ჩემთვის მთავარი სიახლე არის ის, რომ წინარე პრინციპისგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობდა მასწავლებლის შეფასებას მხოლოდ მისი ცოდნის მიხედვით, ჩაენაცვლა ახალი და მართებული, უფრო სწორად, განახლებული პრინციპი, რომ მასწავლებლის შრომა უნდა შეფასდეს მისი პრაქტიკული საქმიანობის უცილობელი გათვალისწინებით. ერთია, რა ვიცი და მეორეა, როგორ ვიყენებ ამ ცოდნას. მე ვიცნობდი არაერთ დიდ მეცნიერს, რომლის ლექციასაც მაინცდამაინც კარგს ვერ დაარქმევდი. მასწავლებლობა არ არის მხოლოდ საგნის ცოდნა, თუმცა ეს უცილობელი წინაპირობა უნდა იყოს, მასწავლებლობა ბევრ სხვა რამეს გულისხმობს, მაგალითად, როგორი განწყობით შედიხარ კლასში, როგორ იცი კლასის მართვა, რამდენად გიყვარს ბავშვები, რამდენად პატივს სცემ შენს პროფესიას, როგორ შეგიძლია დაგეგმო გაკვეთილი, მანამდე კი როგორ შეგიძლია დაგეგმო მთელი წლის სასწავლო პროცესი, როგორია შენი თხრობის კულტურა, როგორ შეგიძლია სათანადო განწყობის შექმნა კლასში, როგორ შეგიძლია იმუშაო მთელ კლასთან და როგორ შეგიძლია იმუშაო ინდივიდთან და ათასი სხვა რამ. ყველაფერი ეს არ იყო გათვალისწინებული წინა სისტემაში. ეს დოკუმენტი სწორედ ამის გათვალისწინებას ცდილობს, თუმცა ეს სირთულესაც ბადებს – როცა ამდენი პრინციპის გათვალისწინებით გინდა სრულფასოვნად შეაფასო ადამიანი, მაშინ ბევრი სქემა უნდა დახაზო და ბევრი წინაპირობა სისტემურად გაიაზრო. ამას ბევრი ლაპარაკი დასჭირდება, რაც აბუნდოვნებს ხოლმე საკითხს. ამიტომ შევთავაზე კომისიას, ჯერ ერთი, სწრაფად გამოქვეყნებულიყო დოკუმენტი, რომ ყველასთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი და, მეორე მხრივ, გაკეთებულიყო დოკუმენტის მოკლე ანოტაცია, სადაც ნათლად, მკაფიოდ იქნებოდა ჩამოყალიბებული მთავარი პრინციპები და რა ვითარებაში როგორ იმოქმედოს პედაგოგმა.

მეორე საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, ეს არის კონკრეტული მექანიზმები, როგორ წარიმართოს პროცესი, ეს ხომ პროცესია! თავიდანვე იყო დავა, რამდენი კატეგორია უნდა ყოფილიყო, ამჟამად 4 კატეგორიაა. ჩემი აზრით, იდეაში, სამიც საკმარისია. სევდის მომგვრელია, რომ 60-62 ათასი მასწავლებლიდან 42 ათასი მასწავლებელი იქნება, ჯერჯერობით, საწყისი საფეხურის. სამინისტროს ხედვით და საზოგადოებამაც ასე უნდა შეხედოს ამას, რამდენიმე წელიწადში, ეს პირველი დაბალი საფეხური, პრაქტიკოსი მასწავლებლები, ცხოვრებამ, მოტივაციამ, განვითარების კურსმა უნდა გაიწოვოს მთლიანად და უნდა დარჩეს, ალბათ, მხოლოდ სამი კატეგორია. მაგრამ ამას დრო სჭირდება, ჯერჯერობით, ჩვენმა საზოგადოებამ თვალი უნდა გაუსწოროს იმ სევდიან ფაქტს, რომ ჩვენი პედაგოგების თითქმის 3/4 დაბალი კატეგორიისაა. ილია ჭავჭავაძის არ იყოს, როცა სარკეში ჩაგახედებენ, თუ რაიმე არ მოგწონს, შენს თავს უნდა დააბრალო და არა სარკეს. ზოგჯერ ასეთ რამეს რომ ვიტყვი ხოლმე, მავანნი აცხადებენ, რომ მე პატივს არ ვცემ მასწავლებელს. პატივს არ ვცემ რას ქვია – ისე მიყვარს, რომ მზეს ვფიცულობ კარგი მასწავლებლის და ვფიქრობ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესია დედამიწის ზურგზე. სწორედ ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ პრინციპულად ყველა პრობლემაზე, რომელთაგან ერთ-ერთი თვალწინ გვაქვს – 60 ათასი მასწავლებლისგან, 42 ათასი დაბალი კვალიფიკაციისაა.

სერტიფიცირებული მასწავლებელი დაიკავებს II საფეხურს, უფროსი მასწავლებლის, ეს სერტიფიცირებაც არ მიმაჩნია პანაცეად, ჩემთვის ეს არ ნიშნავს, ცალსახად, მაღალ ხარისხს, თუმცა, ბუნებრივია, მათ შორის ასეთიც ბევრი იქნება. რაც შეეხება III საფეხურს, იქ მხოლოდ 100-150 კაცი შეიძლება ვივარაუდოთ, მენტორი კი საერთოდ არ გვეყოლება კარგა ხანს.

ამ ოთხივე კატეგორიის დახასიათება ძალიან მნიშვნელოვანია. მასწავლებლებმა ძალიან კარგად უნდა იცოდნენ, საიდან სად მიდიან, რა სამუშაო უნდა ჩაატარონ, როგორ მოიპოვონ კრედიტ-ქულები. ეს დაწვრილებითაა გაწერილი დოკუმენტში, თითოეულ მასწავლებელს უნდა მიუწვდებოდეს მასზე ხელი. ამაზე უნდა იყოს მუდმივი საუბარი, რომ საპილოტე წელიწადი მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხარვეზების გამოსავლენად, რომლის გასასწორებლად მზად არის განათლების სამინისტრო, რაც კარგი წინაპირობაა თანამშრომლობისთვის. რაც შეეხება შეფასებას, დოკუმენტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, მე ძალიან მინდა, შევეწინააღმდეგო გარე შეფასებას, მაგრამ ვერ შევეწინააღმდეგები იმიტომ, რომ კითხვები არსებობს. მაშინ, როცა პირველი ატესტაცია ტარდებოდა, დაისვა მთავარი კითხვა – რამდენად შეიძლება ვენდოთ სკოლებს თავიანთ საკუთარი... 




გია მურღულია

*კერძო სკოლა „ლოგოსის“ დამფუძნებელი, ფილოლოგიის დოქტორი*

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2015

# უნარების გამოცდა აზროვნებისა და მსჯელობის შემაფასებელი გამოცდაა და არა ცოდნის

*ერთიანი ეროვნული გამოცდების სავალდებულო საგნებიდან ყველაზე აქტუალური, ალბათ, ზოგადი უნარებია. მასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს და შეკითხვებიც ბევრია. მრავალგზის განმარტების მიუხედავად, კვლავ ხშირად გაისმის შეკითხვა – უნდა მოემზადოს თუ არა აბიტურიენტი ზოგად უნარებში? ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელთან, **სოფო დოლიძესთან** და, შეძლებისდაგვარად, უნარების გამოცდასთან დაკავშირებით, ამომწურავი ინფორმაცია მიგვიღია. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვთავაზობთ აბიტურიენტებს ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელის რჩევებს, რომელთა გათვალისწინება მათ გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში დაეხმარება.*

2015 წლისთვის ზოგადი უნარების გამოცდაზე არავითარი სიახლე არ იგეგმება, ტესტი კვლავ 80-ქულიანი იქნება, 80 დავალებისგან შედგება: ვერბალური ნაწილისთვის 40 დავალებაა განკუთვნილი და 40 – მათემატიკურისთვის. ტესტზე სამუშაო დრო – 3 საათი – გაყოფილია 2 ნაწილად: საათნახევარი ვერბალურ ნაწილს უნდა დაუთმონ აბიტურიენტებმა, ხოლო საათნახევარი – მათემატიკურ ნაწილს.

შენარჩუნებულია შარშანდელი სიახლეები. ტესტის ვერბალურ ნაწილში გვაქვს 5 პასუხის მქონე დავალებები – ანალოგიები და ლოგიკის. წინადადებების შევსებისა და წაკითხული ტექსტის გააზრების დავალებები კვლავ 4 სავარაუდო პასუხს შეიცავს, მეხუთე პასუხი არ ემატება.

შენარჩუნებული იქნება მეორე სიახლეც – მინიმალური კომპეტენციის ბარიერის მომატება რამდენიმე ქულით. როგორც იცით, სხვა გამოცდებისგან განსხვავებით, ზოგადი უნარების გამოცდა მხოლოდ არჩევითპასუხიან დავალებებს შეიცავს, რადგან ჩვენი მოდელი, ზოგადად, გაიგივების პრინციპზე გადადიოდა, ზოგადი უნარების გამოცდაში შემთხვევით ბარიერის გადალახვის ალბათობა ძალიან მაღალი იქნებოდა. ამის გამო ბარიერმა სულ მცირედით – 3 ქულით მოიმატა, გახდა 24. 80-იდან 24 ქულის დაგროვების შემთხვევაში, ბარიერი უკვე გადალახულად ითვლება. შარშან მასთან გაიგივებული ქულა – 23, ორ ვარიანტში, ასევე ზღვრის გადალახვად ითვლებოდა. ეს სიახლეც შენარჩუნებულია. ორივე სიახლემ, პრინციპში, გაამართლა. მათი მიზანი იყო ზოგადი უნარების გამოცდაზე აბიტურიენტების უნარების შეფასების სიზუსტის გაზრდა, ვინაიდან ძალიან დიდია ალბათობა, მხოლოდ არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში, ბრმად გადალახო ბარიერი, ამის ალბათობა, დაახლოებით, 30% იყო და 6%-მდე შემცირდა.

თუკი წლების განმავლობაში მინიმალური კომპეტენციის ბარიერს ვერ გადალახავდა აბიტურიენტების, დაახლოებით, 6-8% (6% ძალიან იშვიათად, უფრო – 8%), 2014 წელს 11%-ზე ოდნავ მეტმა ვერ გადალახა. ვფიქრობ, ეს ზრდა მინიმალურია (იმ პირობებში, რომ მეხუთე სავარაუდო პასუხი დავამატეთ, გავზარდეთ ზღვარი და ზღვრის შემთხვევით გადალახვის ალბათობა 30%-იდან 6-ზე შევამცირეთ). სავარაუდოდ, ეს ის აბიტურიენტები იყვნენ, რომლებიც პასუხების ბრმად შემოხაზვის ხარჯზე აპირებდნენ ბარიერის გადალახვას. ამიტომ მინდა ვთხოვო ყველა აბიტურიენტს, გულდასმით მოეკიდონ სამუშაოს, წაიკითხონ დავალებები მათემატიკურ ნაწილშიც და ვერბალურშიც. არიან აბიტურიენტები, რომლებიც საერთოდ არც კი გადაფურცლავენ მათემატიკურ ნაწილს, ამ საგნის შიში დაჰყვებათ სკოლიდან. მათ კიდევ ერთხელ შევახსენებ: ეს არ არის მათემატიკის ცოდნის შესამოწმებელი გამოცდა, ეს არის რიცხვებთან ურთიერთობის შესაფასებელი ტესტი და რიცხვებთან ურთიერთობა, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველას გამოგვდის. ბრმად და ტესტების კრებულის გადაფურცვლის გარეშე პასუხების შემოხაზვაზე ბევრად უფრო მომგებიანი სტრატეგიაა ტესტის კარგად, გულდასმით დათვალიერება და დავალებების მოსინჯვა. თუნდაც ყველა დავალება წარმატებით ვერ შეასრულოთ, მერწმუნეთ, ყველა ტიპის აბიტურიენტი იპოვის მისთვის შესაფერისი ტიპის დავალებას.

ის, რომ, ადამიანები, რომლებმაც მათემატიკა კარგად იციან, კარგად აბარებენ ზოგადი უნარების გამოცდას, არ ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებმაც მათემატიკა არ იციან, ამ გამოცდას ვერ ჩააბარებენ. ტრადიციულად, სკოლაში (რაც ძალიან სამწუხარო ტრადიციაა), დაწყებით საფეხურზევე, იწყება მოსწავლეებში შიშის ჩანერგვა, რომ რომელიღაც მოსწავლე ვერ დაძლევს მათემატიკას. ეს მცდარი წარმოდგენაა, დაწყებით საფეხურზე ნამდვილად ყველას შეუძლია იმ მასალის დაძლევა, რასაც სწავლობენ. ზოგჯერ მშობლებიც, თავისი მაგალითით, შვილებს უნერგავენ, რომ მათემატიკა შეიძლება დაუძლეველი იყოს. დაუძლევლობის განცდა კი ბავშვს მათემატიკისადმი ინტერესს უქრობს. მათემატიკის შესწავლას კიდევ ერთი ძალიან საინტერესო თავისებურება აქვს – სისტემატურად უნდა ისწავლო, თუ რომელიმე თავს გამოტოვებ, შემდეგ სწავლას ვერ გააგრძელებ. აუცილებელია სისტემატურობა.

ჩვენს აბიტურიენტებს მინდა ვუთხრა, რომ ზოგადი უნარების ტესტში მათემატიკის ცოდნასთან დაკავშირებული ნამდვილად არაფერი არ არის. მათემატიკა უნდა იცოდეთ მე-6 კლასის დონეზე, რაც ნიშნავს წილადის ცოდნას/ცნობას, პროცენტის გამოთვლას... რეალურად, ჩვენ გვაქვს ის ცოდნა, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვადგება – ვითვლით პროცენტებს, ვკითხულობთ ცხრილებსა თუ დიაგრამებს, რომლებსაც, მაგალითად, არჩევნების შემდეგ გვაწვდიან. ზოგადი უნარების ტესტი სწორედ ამას აფასებს – შეუძლია თუ არა ადამიანს რიცხობრივად წარმოდგენილი ინფორმაციის გააზრება. ზოგადი უნარების გამოცდა იმ ადამიანებისთვისაა, რომლებსაც უნდათ, ასე ვთქვათ, წარმატებით ადაპტირება ჩვენს სამყაროსთან.

დარწმუნებული ვარ, ახლა რასაც ავხსნი, ჩვენი აბიტურიენტები კარგად გაიგებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი მათემატიკას არ სწავლობს: თითოეულ დავალებას, რომელიც არის ტესტში, თავისი სირთულის კოეფიციენტი აქვს, რომელიც მარტივად გვიჩვენებს, რამდენმა პროცენტმა შეასრულა ეს დავალება სწორად. დავუშვათ, დავალების სირთულის კოეფიციენტია 80, ეს ნიშნავს, რომ იმ ადამიანთა 80%-ს, ვინც ამ ტესტს წერდა, დავალება სწორად შეუსრულებია. თუ დავალების სირთულის კოეფიციენტია 30 – დავალება სწორად შეასრულა მხოლოდ 30%-მა. რეალურად, რაც უფრო მაღალია სირთულის კოეფიციენტი, მით უფრო ადვილია დავალება. ცხადია, დავალება, რომელიც 80%-მა შეასრულა, უფრო ადვილია, ვიდრე ის, რომელიც 30%-მა დაძლია. ტესტის სირთულე მასში შემავალი დავალებების სირთულის საშუალო არითმეტიკულია. ტესტის სირთულის მაღალი კოეფიციენტი ნიშნავს, რომ ტესტი უფრო ადვილია, ხოლო ტესტის სირთულის დაბალი კოეფიციენტი, პირიქით – ტესტი უფრო ძნელია.

ზოგადი უნარების ტესტის შექმნა ძალიან რთული და შრომატევადი პროცესია. გაგაცნობთ ჩვენი სამუშაოს სტრუქტურას: ზოგადი უნარების ჯგუფში, ცხადია, მუშაობენ მათემატიკოსები, ასევე ფილოლოგები, ფილოსოფოსები (ლოგიკის სპეციალისტები), ფსიქოლოგები – ეს ადამიანები ქმნიან დავალებებს. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის ქართული ორიგინალური დავალებები, ჩვენ არაფერს არსაიდან არ ვთარგმნით, ჩვენი აბიტურიენტებისთვის ვქმნით. დავალება გადის რამდენიმეგზის შემოწმებას – ერთმანეთის მიერ შექმნილ დავალებებს ვაფასებთ ჯგუფში, შემდეგ გარე ექსპერტები აფასებენ და, რაც ყველაზე მთავარია, ყველა დავალება გაგვაქვს საცდელ ტესტირებაზე.

საცდელი ტესტირებები ტარდება როგორც აბიტურიენტებთან, ასევე პირველკურსელებთან. ძალიან მაღალია აბიტურიენტების ინტერესი საცდელი ტესტირებების მიმართ. ისინი ერთგვარ რეპეტიციას გადიან – მოდიან გამოცდების ცენტრში, ყველა პროცედურა დაცულია ისევე, როგორც გამოცდაზე, ცალკე მაგიდასთან სხდებიან, აქვთ პასუხების ფურცელი. მართალია, სამი საათის ნაცვლად, საათნახევარი მუშაობენ, მაგრამ, ფაქტობრივად, ყველა ტიპის დავალების შესრულება უწევთ.

რას ემსახურება საცდელი ტესტირება ჩვენთვის – გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის? შევაფასოთ დავალების სირთულის კოეფიციენტი, დისკრიმინაციის ინდექსი, რომელიც გვეუბნება, რამდენად ახერხებს დავალება განასხვაოს ერთმანეთისგან უნარიანი და ნაკლებად უნარიანი აბიტურიენტი და ა.შ. გვაინტერესებს დავალების სხვადასხვა პარამეტრი, რამდენად გასაგებად არის ჩამოყალიბებული და ა.შ.

იმ დავალებებისგან, რომლებსაც, მათი ფსიქომეტრული მონაცემების საფუძველზე, ვარგისად მივიჩნევთ, რომლებიც ერთმნიშვნელოვნადაა ჩამოყალიბებული, არც განსაკუთრებულად რთულია და არც ზედმეტად ადვილი, რომლებიც კარგად განასხვავებს უნარიან და კიდევ უფრო უნარიან აბიტურიენტებს, იქმნება საბოლოო ვარიანტი, რომელიც ტესტურ დავალებათა ბანკში შედის. საბოლოო ფორმატის კონსტრუირება, ცხადია, ამ ბანკიდან დავალებების შერჩევით ხდება.

ჩვენი პოზიცია უცვლელია – ვფიქრობთ, ხანგრძლივი წვრთნა იმაში, რომ შევასრულოთ ზოგადი უნარების დავალებები, აბსოლუტურად არაეფექტურია გამოცდის წარმატებულად ჩასაბარებლად. საქმე ის გახლავთ, რომ ზოგადი უნარები ინფორმაციის აღქმა-გააზრების უნარებია, ეს ინფორმაცია, ზოგ შემთხვევაში, ვერბალურია, ზოგ შემთხვევაში – რაოდენობრივად წარმოდგენილი, რიცხვებით. დამეთანხმებით, ერთ წელიწადში ეს უნარები რადიკალურად არ იცვლება. კიდევ ერთხელ განვმარტავ რას ნიშნავს გამოცდისთვის მომზადება.

ჩვენი პოზიცია, რომ უნარების გამოცდისთვის საერთოდ არ არის საჭირო მომზადება, ზოგიერთმა არასწორად გაიგო, იფიქრეს, რომ არც ტესტის ფორმატს უნდა გაეცნო, არც ინსტრუქციას, არც დავალების ტიპებს და ასე სრულიად ბრმად მიხვიდე გამოცდაზე. ცხადია, ეს ამას არ ნიშნავს. გამოცდების ცენტრი ყოველ წელს აქვეყნებს დამხმარე მასალათა კრებულებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის იმისთვის, რომ აბიტურიენტები, გარკვეული თვალსაზრისით, მოემზადონ გამოცდისთვის (ელექტრონული ვერსიის ნახვა შეიძლება ცენტრის ვებგვერდზე). ზოგადი უნარების შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გაიგონ, რა დანიშნულება აქვს ამ ტესტს, რატომ აბარებენ ისინი უნარების გამოცდას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე? ეს მათ დაეხმარება ამ გამოცდის როლის გააზრებაში მთელ სისტემაში, ის ხომ არ არის მოწყვეტით ცალკე, საგნობრივ გამოცდებთან ერთადაა. ამ გამოცდით აბიტურიენტებს კიდევ ერთი შანსი ეძლევათ, თუკი ცოდნაში რაღაც ხარვეზი აქვთ ან პირიქით, ძალიან წიგნიერი, ძალიან მომზადებულები არიან, თავიანთი ცოდნის პარალელურად, კარგად წარმოაჩინონ საკუთარი უნარები – ახალი ინფორმაციის გააზრების, მოვლენათა შორის კავშირის დამყარების, რაც მნიშვნელოვანია უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას. როდესაც ადამიანი მიდის გამოცდაზე, რომელიც იცის, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, წარმატებაც უფრო დიდი ალბათობითაა მოსალოდნელი.

აბიტურიენტი ძალიან კარგად უნდა იცნობდეს საგამოცდო ტესტის ფორმატს, უნდა იცოდეს რამდენი დავალებაა, რა ტიპის დავალებებია, როგორ უნდა იმუშაოს ამა თუ იმ ტიპის დავალებასთან, რა ინსტრუქცია ახლავს თითოეული ტიპის დავალებას – ეს ყველაფერი მოცემულია ჩვენს კრებულში. კარგი იქნება, თუ ერთგვარ რეპეტიციას გაივლის, მაგალითად, ტესტის მთელ ფორმატს, სამსაათიანს, დამოუკიდებლად შეასრულებს. კრებულში მოცემულია ოთხი ვერსია საგამოცდო ტესტისა, ყველა ვერსია, რომელიც გამოვიყენეთ წინა წელს გამოცდაზე, შესაბამისად, აბიტურიენტს შეუძლია მოსინჯოს საკუთარი შესაძლებლობები – გამოცდაზე რომ ვიყო, როგორ ვიმუშავებდი, რა შედეგი მექნებოდა.

მნიშვნელოვანია დავალების თავიდან ბოლომდე შესრულება. სამწუხაროდ, ჩვენს აბიტურიენტებს ზოგჯერ, ელემენტარულად, გამძლეობა არ ჰყოფნით, რომ 3 საათი თანმიმდევრულად მწყობრად და აქტიურად იმუშაონ. ზოგადი უნარების გამოცდა აქტიურ, ჩართულ მუშაობას გულისხმობს სამივე საათის განმავლობაში. ეს ცოტა განსხვავებულია საგნობრივი გამოცდებისგან, სადაც ჯერ უნდა დაწერონ თხზულება და მერე გადაწერონ შავი ნაწერიდან თეთრში. ამ დროს გარკვეულწილად ისვენებენ. ზოგადი უნარების გამოცდა ამის საშუალებას არ იძლევა, ეს არის ჩართული, აქტიური მუშაობა სამი საათის განმავლობაში. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი უნარია, უმაღლეს სასწავლებელში სწავლისთვის და აბიტურიენტებმა ამ უნარშიც უნდა გამოსცადონ საკუთარი თავი – შეასრულონ მთელი ფორმატი, სამი საათი შეუსვენებლად იმუშაონ, საათნახევარი დაუთმონ ვერბალურ ნაწილს და საათნახევარი – მათემატიკურს. ზოგიერთს ურჩევნია, უფრო დიდხანს მათემატიკაზე იმუშაოს, ზოგს – ვერბალურზე, მაგრამ ეს მათ რეალურ სურათს არ მისცემთ. თუკი ისინი ზუსტად გამოცდის ფორმატით გაივლიან ერთგვარ რეპეტიციას, გამოცდის წინ თუ წლის დასაწყისში, ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო იქნება.

ჩვენს კრებულში მოცემულია თითოეული დავალების გარჩევა, როგორ იხსნება ეს დავალებები. ამით აბიტურიენტები დაინახავენ ჩვენს ხედვას, გაიგებენ, როგორ ვუდგებით პრობლემებს, როგორ ვხედავთ მათ გადაწყვეტას. ასე რომ, აბიტურიენტებისთვის სწორი მომზადება ჩვენი კრებულების გაცნობაა.

არ მინდა კრიტიკული ვიყო სხვა მსგავსი კრებულების მიმართ, უბრალოდ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მასალა მომზადების ყველა იმ პროცედურას გადის, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ. ეს პროცედურები ჩვენ არ მოგვიგონია, საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული პროცედურებია და იმისათვის, რომ დავალება ხარისხიანი იყოს, ეს პროცედურები აუცილებლად უნდა გაიაროს. ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა ტიპის დავალებებს ვასრულებთ. შეიძლება გარკვეული სირთულისა და ავ-კარგიანობის დავალებებს ვასრულებდეთ, მაგრამ გამოცდაზე სულ სხვა ტიპის დავალებები დაგვხვდეს. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რა გველის გამოცდაზე, ვიცნობდეთ გამოცდის ტიპს, ფორმატს, დავალებებს, ლექსიკას და ა.შ. სწორედ ამაში დაეხმარება აბიტურიენტებს ჩვენი კრებულის ყურადღებით გაცნობა, ეს სავსებით საკმარისი მომზადება იქნება, თუ არ ჩავთვლით იმ ადამიანებს, რომლებსაც, წლების განმავლობაში, არავითარი შეხება არ ჰქონიათ მათემატიკასთან და შეიძლება დასჭირდეთ მათემატიკის ელემენტების შესწავლა. უნარების ტესტში ყველაფერი გააზრებაზეა, ყველა ფორმულა, რომელიც შეიძლება აპლიკანტს შეხვდეს, მოცემულია ტესტის პირველივე გვერდზე. მას არაფრის დამახსოვრება არ სჭირდება, უნდა მიხვდეს, სად, რა და როგორ გამოიყენოს, უნდა იაზროვნოს. უნარების გამოცდა აზროვნებისა და მსჯელობის შემაფასებელი გამოცდაა და არა ცოდნის.

ხშირად ინტერნეტსივრცეში აბიტურიენტებს, სკოლის მოსწავლეებს სთავაზობენ ტესტირების გავლას. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. დავუშვათ, აღმოვჩნდით ტესტირებაზე, რომლის დავალებები რადიკალურად განსხვავდება ჩვენი საგამოცდო დავალებებისგან და ძალიან დაბალი შეფასება მივიღეთ, ტესტის მიმართ უარყოფითი განწყობა შეგვექმნება და დამოკიდებულებაც უნარების ტესტის მიმართ იქნება „ტესტთან ბრძოლის“ დამოკიდებულება. შეიძლება, მეორე უკიდურესობა მივიღოთ – აღმოვჩნდეთ ტესტირებაზე, რომელზეც ძალიან ადვილი დავალებებია და ფანტასტიკური შედეგი ვაჩვენოთ. ამ შემთხვევაში, ჩვენი დამოკიდებულება, მოლოდინი იქნება ძალიან პოზიტიური, მაგრამ შედეგი შეიძლება ასეთი არ აღმოჩნდეს. ჩვენი განწყობა, რომლითაც მივდივართ გამოცდაზე, ბევრად განსაზღვრავს იმას, თუ რა შედეგს ვაჩვენებთ. არ უნდა ვებრძოლოთ ტესტს, მასთან ერთად უნდა ვიმუშაოთ, ვითანამშრომლოთ, უნდა მოგვწონდეს, რასაც ვაკეთებთ და ვცდილობდეთ, მაქსიმალურად ვაჩვენოთ ჩვენი უნარები.

ზოგადად, უნარების ტესტის ვერბალურ და მათემატიკურ ნაწილებს შორის, სირთულის თვალსაზრისით, როგორც წესი, დიდი განსხვავება არ გვაქვს, სრულიად მინიმალურია. ზოგჯერ აღმოჩნდება, რომ ვერბალური ნაწილი იყო ოდნავ უფრო რთული, ზოგჯერ პირიქით – მათემატიკური. მაქსიმალურად ვცდილობთ, ორივე ნაწილი თანაბარი სირთულის იყოს და ეს იყოს საშუალო სირთულე.

თვითონ ტესტების სირთულეს რაც შეეხება, შეუძლებელია, როდესაც რამდენიმე ვერსიის შეთავაზება გვიწევს, სულერთია ორი იქნება, სამი თუ შვიდი, არ იყოს ტესტის ვარიანტებს შორის სირთულის მიხედვით განსხვავება. მართალია, ეს განსხვავება მინიმალურია ხოლმე, მაგრამ რომ არ აღმოჩნდეს ისე, რომ ამ მინიმალურმა განსხვავებამ რაიმე გავლენა მოახდინა აბიტურიენტებზე, ვიყენებთ გაიგივების პრინციპს. სკალირების, ანუ გაიგივების მექანიზმი ამ უთანაბრობას აღმოფხვრის. ყველა გამოცდა, რომელიც რამდენიმე ვერსიას შეიცავს, აუცილებლად გადის ამ პროცედურას. ჩვენს აბიტურიენტებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, ნამდვილად არავინ დაიჩაგრება და მათთვის ქულის მინიჭება სრულიად სამართლიანად მოხდება.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

*წერილი მომზადდა რადიო იმედის ეთერში გასული გადაცემის – „გამოცდებიდან გამოცდებამდე“ – საფუძველზე, სტუმარი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი **სოფო დოლიძე***

სტუმარი

# ვაჟათი და რუსთველით ამაყი „მამაცი ქალის“ რეალობა



ბაპტისტურ-ევანგელური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე მსოფლიოში პირველი სასულიერო პირი ქალია, რომელსაც აშშ-ს პირველმა ლედიმ მიშელ ობამამ, გასულ წელს, „სიმამაცის“ ჯილდო გადასცა. ეს ჯილდო 2007 წელს ჰილარი კლინტონმა დააწესა და მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე იმ არაამერიკელ ქალებს გადასცემენ, რომლებმაც საკუთარი მოღვაწეობით სიმამაცე გამოიჩინეს. რითია ეპისკოპოსი ქალი გამორჩეული, რითაც მიიქცია ყურადღება და მისი მოღვაწეობა სიმამაცედ შეფასდა – როგორია „განსხვავებული“ ადამიანის ბედი ჩვენს ქვეყანაში? – ამის შესახებ გვესაუბრება დღევანდელი სტუმარი **რუსუდან გოცირიძე**.

მისი ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხები ასეთია: განათლება – თეოლოგი/ფილოლოგი; თანამდებობა – ევანგელ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი; კვლევის ინტერესი – ქალი და რელიგია; ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობის საკითხები რელიგიურ თემებში; რწმენის თავისუფლება, რელიგიური განათლება და სეკულარიზმი.

**– ქალბატონო რუსუდან, ჩვენი ინტერვიუ განათლებაზე საუბრით დავიწყოთ... თქვენი აზრით, სასულიერო პირისთვის რამდენად აუცილებელია ზოგადი განათლება?**

– განათლება რომ ყველა პროფესიის ადამიანისთვისაა აუცილებელი, ეს ისეთი აქსიომაა, მიჭირს კიდეც ახსნა. თუკი ექიმს, პედაგოგს, მშენებელს, მძღოლს ან ფერმერს მოეთხოვება თავისი საქმის ცოდნა, რაღა თქმა უნდა, სასულიერო პირსაც მოეთხოვება სულ ცოტა იმ რელიგიის საღვთო წერილის, ცოტა ისტორიისა და თეოლოგიის ზოგადი მონახაზის ცოდნა მაინც, რომელსაც ემსახურება.

– **როგორი იყო თქვენი ბავშვობა, ოჯახი, სადაც აღიზარდეთ...**

– დიასახლისი დედისა და მანქანის ხელოსანი მამის სამშვილიან ოჯახში გავიზარდე, თბილისის ერთ პერიფერიულ უბანში. ბავშვობის დიდი ნაწილი გავატარე პაპის სახლში, რომელიც ბაპტისტური ეკლესიის ხუცესი იყო. ამდენად, ეკლესია, საკვირაო სკოლა, სასულიერო პირის საეკლესიო და საოჯახო ცხოვრების წესის ნიმუში ბავშვობიდან მყავდა. დედაჩემი ბუნებით ხელოვანი ქალია, რომელმაც თავისი ოცნება, გამხდარიყო მხატვარი, პროფესიულ დონეზე, ვერ აისრულა (თუმცა, თუ ხარ ხელოვანი, ეს არასოდეს ქრება). მიუხედავად ამისა (და შეიძლება, სწორედ ამის გამოც), ჩვენი ცხოვრება სულ ხელოვნებას უკავშირდებოდა. ჩვენი საბავშვო ოთახი საკუთარი ხელით მოვხატეთ; ვიყავი საბავშვო თეატრის მსახიობი; დაბადების დღეზე მიყიდეს ზენიტი და ვიყავი კლასის ფოტოგრაფი, სახლში ვამჟღავნებდი და ვბეჭდავდი სურათებს... მამა, თავისი თეთრი „მოსკვიჩით“ აგვიყვანდა ხოლმე გაზაფხულზე მამკოდაზე და თოვლში ვკრეფდით ყოჩივარდებს...

**– რამ განაპირობა თქვენი არჩევანი? ბავშვობაში გიოცნებიათ, რომ სასულიერო პირი იქნებოდით? რა პროფესიაზე ოცნებობდით?**

– ბავშვობაში სასულიერო პირობაზე ვერასოდეს ვიოცნებებდი, იმიტომ რომ არასოდეს მინახავს, არასოდეს მსმენია ქალი სასულიერო პირის შესახებ. უფრო მეტიც, ჩვენს ეკლესიაში ქალებს მხოლოდ გალობისა და ლოცვის უფლება ჰქონდათ. ერთადერთი ქალი, რომელსაც ზიარების ჭურჭელთან შეხების უფლება ჰქონდა, ჩემი ნათელა ბებო იყო, რომელიც ხუცესის მეუღლე იყო. ის აცხობდა ზიარების პურს, ის აქათქათებდა ბარძიმ-ფეშხუმებზე ნაქარგ გადასაფარებლებს...

ჩემი არჩევანი განაპირობა იმ პროცესებმა, რომელიც ჩვენს ეკლესიაში დაიწყო საბჭოთა კავშირის დანგრევის პერიოდიდან. ეკლესიაში დაფუძნდა თეოლოგიური სემინარია, რომელშიც მიგვიღეს გოგონებიც და ბიჭებიც. სემინარია იყო ის სივრცე, სადაც იძერწებოდა ჩვენი ეკლესიის ახალი სახე, ახალი მისია და მისი განუყრელი ნაწილები ვიყავით ახალგაზრდებიც და „ძველგაზრდებიც“, ქალებიც და კაცებიც. ქალთა ხელდასხმის საკითხიც იმ რეფორმის ლოგიკური გაგრძელება იყო. მახსოვს, როგორი ბედნიერება იყო, როცა ჩვენს ეკლესიაში პირველ ქალს დაასხეს ხელი... მაშინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ წლების მერე ვიდგებოდი საკურთხევლის წინ და გავხდებოდი სასულიერო პირი.

ჩემი პირველი პროფესია იყო ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი (ჯავახიშვილის მეხუთე კორპუსელი ვარ).

**– თქვენ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ბრძანდებით, თუ აწყდებით ამის გამო პრობლემებს საქართველოში? ან თქვენს შვილებს ხომ არ ჰქონიათ პრობლემები სკოლაში? რთულია ჩვენს ქვეყანაში ამ ნიშნით ცხოვრება?**

– ჩემს შვილებს ძალიან გაუმართლათ, რასაც ვერ ვიტყვი ჩემი კოლეგების შვილებზე. ჩემს შვილებს არასოდეს მოუწიათ თავის მართლება, არც თავის დაცვა რელიგიური იდენტობის გამო. მათ კლასში ყოველთვის იცოდნენ ჩვენი „უცნაურობის“ შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი შვილების ამბავი მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისია. ჩემი კოლეგების შვილები არაერთხელ დაბრუნებულან სკოლიდან ატირებულები, არაერთხელ მივსულვართ ჩვენი ეკლესიის წევრის შვილის სკოლაში, რომ ვითარება განგვემუხტა... საუბედუროდ, სკოლაში, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის უმეტეს შემთხვევებში, მშობელი ვერ ბედავს რამენაირად ჩაგვრიოს, ან ჩაერიოს... ურჩევნია, თუკი უკიდურესად იძაბება მდგომარეობა, ბავშვებს სკოლა გამოუცვალოს.

ჩვენს ქვეყანაში განსხვავებულად ყოფნა არაა იოლი. არაა იოლი იყო რელიგიურად, ეთნიკურად ანდა სექსუალური ორიენტაციის თვალსაზრისით განსხვავებული. ჩვენი რიტორიკა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ვერც კი ვამჩნევთ, ვერც კი ვგრძნობთ, საოცრად დისკრიმინაციულია. მახსოვს, ერთხელ მეგობარმა მითხრა, კითხვები მქონდა რელიგიასთან დაკავშირებით და მიჭირდა სიტყვა „ბაპტისტის“ არტიკულირება, რომ შეურაცხყოფილად არ გეგრძნო თავიო. ჩვენი სადღეგრძელოები, ანეგდოტები, ანდაზა-გამონათქვამები ხომ მძიმედაა დატვირთული გენდერული, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ტიპის დისკრიმინაციული განწყობებით. ჩუმად უნდა უსმინო და არც უსმინო ამ ყველაფერს ან სამარშრუტო ტაქსშიც კი ეკამათო ყველას.

**– უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში რაიმე სახით რელიგია ან რელიგიების ისტორია?**

– მე მჯერა განათლების სასწაულმოქმედი ძალის. მჯერა, რომ იმ პრობლემებს, რომელიც დღეს არის ჩვენს საზოგადოებაში, უშველის განათლება. ცოდნას (ოღონდაც არა ინფორმაციის ქონას, არამედ განათლებას) ბევრი პრობლემის მოგვარება შეუძლია. მაგრამ, მე არ მეგულება ჩვენს ქვეყანაში მასწავლებელთა გილდია, რომელიც შეძლებდა რელიგიის, გინდაც რელიგიის ისტორიის აკადემიურად და ნეიტრალურად სწავლებას. როგორც წესი, ასეთი საგანმანათლებლო პროგრამები მძიმე დისკრიმინაციული გარემოს კიდევ უფრო (ამჯერად ლეგიტიმურად) დამძიმების ინსტრუმენტი ხდება.

**– როგორია, თქვენი ხედვით, იდეალური საზოგადოება, სადაც შვილებს სიამოვნებით გაზრდით და რას მიიჩნევთ ჩვენი საზოგადოების №1 ნაკლოვანებად?**

– საზოგადოება, სადაც სიამოვნებით გავზრდიდი შვილს, არის ის სივრცე, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მგელი არაა... სადაც ადამიანია ფასეული ისეთად, როგორიც არის, ვინც არის, რაც სწამს და რაც უყვარს... სადაც იციან რას წერდა ვაჟა, ვინაა ალუდა ქეთელაური, სადაც უყვართ ის ულამაზესი მხარე, რომელშიც ცხოვრობენ და სადაც ცელოფნის პარკებითა და პლასტმასის ბოთლებით არაა ამოვსებული ულამაზესი ხევები... ჩვენი საზოგადოების №1 ნაკლოვანებაა ეგოიზმი... ამ საზოგადოების მთავარი საზრუნავია **„მე“, „დღეს“**!

**– ზოგადად, საზოგადოება აგრესიითაა დამუხტული, თვალშისაცემია ერთმანეთისადმი სიძულვილი – ძალიან არ მიყვარს ამ სიტყვის ხმარება, მაგრამ, სამწუხაროდ, მიწევს. ბოლო დროს ძალიან გახშირდა ძალადობის ფაქტები – ლამის ყოველი მეხუთე ქალი ძალადობის მსხვერპლია. რატომ? თქვენ როგორ ხედავთ ამ პრობლემებს?**

– ქალთა მიმართ ძალადობა არ არის პრობლემა... ძალადობა არის პრობლემის ყველაზე უკიდურესი გამოვლინება, როგორც აისბერგის წვერი. უბედურება ისაა, რომ ეს უკიდურესი და საშინელი გამოვლინებებიც, ხშირ შემთხვევაში, უხილავად და რეაგირების გარეშე ქრება. პრობლემაა ის უთანასწორობა, რაც ქალსა და კაცს სხვადასხვა განზომილებაში მოიაზრებს. პრობლემაა, როცა დედა გოგოს თოჯინებით ათამაშებს სახლში და ბიჭი ქუჩაში ბურთს თამაშობს (ხომ ვითომც არაფერიო); პრობლემაა, როცა გოგოს არ გაუშვებ კლასთან ერთად ექსკურსიაზე და ბიჭს გაუშვებ; როცა გოგონას პედაგოგიურზე ჩააბარებინებ და ბიჭს ბიზნეს ადმინისტრირებაზე; როცა „ქმარი გიყიდისო“ გოგონას ეუბნები და ბიჭს „ოჯახის მარჩენალად“ ზრდი... ესაა იმ დიდი და საშინელი აისბერგის ძირის ძირი და მერე ამაზეა დაშენებული ჩვენი საამაყო პატრიარქალური საზოგადოება, რომელშიც ძლიერი და მებრძოლი ქალი „ავია“ და იმავე თვისებების მქონე კაცი „კაცური კაცია“. როცა წყალკანალის მუშა დააკაკუნებს კარზე და მკითხავს, ოჯახის უფროსი სახლშიაო (ის ოჯახის უფროსი მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, რომ ეკითხა, წყლის ახალი მრიცხველები სად არის დაყენებული)...

ვიდრე ეს ასე იქნება, ჩვენ კიდევ ბევრ მსხვერპლს დავითვლით ამ საზოგადოებაში.

**– მშობლის გადასახედიდან – რა არ მოგწონთ დღევანდელ განათლების სისტემაში ან, პირიქით, რა მოგწონთ?**

– განათლების სისტემა არის მომავალი საზოგადოების მჭედელი. და მერე ამ სამჭედლოში როგორი მჭედლები მუშაობენ? – დაბალანაზღაურებადი, იმედგაცრუებული, ნერვებდაწყვეტილი, დაუფასებელი ადამიანები.... მშობელთა კრებაზე ზიხარ და გრძნობ, რომ 25-30 წლის შემდეგაც დღევანდელი მასწავლებლები ისევ ისეთი მეთოდებით მუშაობენ, როგორც ჩვენი საბჭოთა მასწავლებლები... მასწავლებლებმა არ იციან ბავშვთა ასაკობრივი ფსიქოლოგია და წარმოდგენა არ აქვთ, როგორ გაართვან თავი კონფლიქტურ სიტუაციებს. ერთადერთი მეთოდია დასჯა, კლასიდან გაგდება, ნიშნის დაკლება....

თუკი არ შეიცვლება ის დინამიკა, სადაც მასწავლებელი ძალაუფლების მქონე წინამძღოლია, რომელსაც არ ეთანხმებიან და არ ემორჩილებიან მხოლოდ „უზრდელი“ და „ზარმაცი“ ბავშვები, ვიდრე ბავშვები არ იგრძნობენ თავს ღირსეულ ადამიანებად, ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას არაფერი ეშველება.

**– თქვენი საყვარელი მწერალი ვინ არის? სასულიერო პირი?**

– საყვარელი მწერალი... რთული სათქმელია, იმიტომ რომ დღეს ერთი მოქმედებს ჩემს აზროვნებაზე და ხვალ მეორე.... ოდესღაც დიუმა იყო, ხან მარკესი, ხან სელინჯერი...

რაც შეეხება სასულიერო პირს (უფრო სწორად პირებს) – ოდესღაც მაჰათმა განდიმ გადამიბრუნა გონება. დიდი გავლენა იქონია მთავარეპისკოპოსმა დესმონდ ტუტუმ და, რა თქმა უნდა, მარტინ ლუთერ კინგი...

**– თქვენს თავისუფალ დროს რას ახმართ – საქმე, რომელსაც სიამოვნებით აკეთებთ.**

– ფოტოგრაფია ძალიან მიყვარს, წამის დაჭერის მომენტი მხიბლავს. ბავშვობაში ძალიან მინდოდა მხატვარი გამოვსულიყავი. გამიგონია, რომ გოეთემ 80 წლის ასაკში დაიწყო ხატვა და მეც ვფიქრობ, 80 წლის ასაკამდე კიდევ დავხატავ. როდესაც ცოტა თავისუფალი დრო მაქვს, ჩემს თავს ნეტარებას ვუწყობ ხოლმე და ვხატავ. ეს ჩემი ჰობია.

**– ასე თუ ისე ამ თემას შევეხეთ, მაგრამ მაინც გკითხავთ, ქართველები რამდენად ტოლერანტები ვართ?**

– ჩვენ არც ყველაზე უკეთესი და არც ყველაზე უარესი ერი ვართ. ეს არის მოცემულობა. ჩვენ გვყავს ვაჟა-ფშაველა, რომელიც ასე „გაფეტიშებულია“ და რომლისაც არ გვესმის. გვგონია, რომ ვაჟა-ფშაველა არის „არწივი ვნახე დაჭრილი“ – ეს არ არის ვაჟა. იგი რაღაც სასწაულია, ეს არის მოვლენა არა მარტო ქართულ ცნობიერებაში, არამედ მსოფლიო ცნობიერებაში. კაცი, რომელმაც დაწერა „ალუდა ქეთელაური“, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანი ფასობს არა იმით, თუ „რომელი გორისაა“, არამედ იმითი, თუ რა ადამიანია. ის რომ არ გვყავდეს, რუსთაველი რომ არ გვყავდეს, ვიტყოდით, რომ ჩვენ ტოლერანტობას ახლა ვსწავლობთ, რაღაც-რაღაცები კი გვეშლება, მაგრამ ვინაა სრულყოფილი და ვის არ შეშლია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენმა წინაპრებმა, ეს თამასა სადღაც მაღალ დონეზე ასწიეს და სირცხვილია, რომ ჩვენ ვერ ვიაზრებთ, რაზე გვესაუბრებიან ეს ადამიანები. ჩვენ ირანი ვერასოდეს ვერ ვიქნებით, რადგან რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა გვყავდა და თუ ამით მოგვაქვს თავი, მარტო სადღეგრძელოებში ლამაზ-ლამაზი ფრაზების განმეორებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ამიტომ ვფიქრობ, ამ მხრივ, ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, რადგან ჩვენზე წინ მყოფებმა ბევრი რამ უკვე გააკეთეს, ახლა იმათ საქმეს ვაფუჭებთ და უკან ვდგამთ ნაბიჯებს. თუმცა, ირანსაც ჰყავდა ჯალა ლედდინ რუმი, მაგრამ მაინც ამ უბედურებაში აღმოჩნდა.

**– იცხოვრებდით სხვა ქვეყანაში?**

– სულხან-საბას იგავ-არაკია „იხვი და მყვარი“. იგავში იხვი და ბაყაყი ერთი გუბის ნაპირას ცხოვრობენ. ეს გუბე თანდათან შრება, იხვი გადაწყვეტს სხვა გუბე მოძებნოს და გაფრინდება, ბაყაყი კი იქ დარჩება. ვერ ტოვებს მშობლიურ ადგილს. გარკვეული დროის შემდეგ იხვი გადმოიფრენს და გუბეს დახედავს, ნახავს, რომ წყალი დამშრალია, მყვარი კი იქვე გდია მკვდარი – მე, ამ შემთხვევაში, მყვარი ვარ. ამ ასაკში სხვაგან ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, ვაღიარებ, უცხო გარემოსი ძალიან მეშინია. უცხოეთში რუსუდან გოცირიძე არავის სჭირდება, მათ ჰყავთ თავიანთი რუსუდან გოცირიძეები. ვთვლი, რომ თუ ჩვენი სამშობლოდან გადავიხვეწებით, ვაჟა-ფშაველას ძარღვი აღარ იფეთქებს, მაშინ კი ჩვენი გუბურა მართლა დაშრება.

**– ქალბატონო რუსუდან, პირველი სასულიერო პირი ქალი ბრძანდებით, რომელსაც „სიმამაცის ჯილდო“ გადმოგეცათ. ამ ჯილდოს აშშ-ში ყოველწლიურად გადასცემენ ქალებს, რომლებმაც გამოავლინეს განსაკუთრებული სიმამაცე, სიმტკიცე და ლიდერის თვისებები ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობისა და ქალთა თანასწორობის და წინსვლის ადვოკატირების საქმეში. თქვენი სიმამაცე რითი გამოიხატა?**

– ალბათ, ყველაზე დიდი სიმამაცე, ჩემი მხრიდან, ის იყო, რომ ამდენი თავდადებული, ერთგული, პროფესიონალი, შეუპოვარი და ძლიერი ქალის ქვეყანაში ამ ჯილდოზე დავთანხმდი.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

გამოცდილების გაზიარება

# პროექტი – მოსწავლეთა სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარების ეფექტური საშუალება

თანამედროვე სკოლა უამრავ გამოწვევას სთავაზობს მასწავლებელს, რაც მის საქმიანობას უფრო საინტერესოს, სახალისოს, მრავალფეროვანსა და საპასუხისმგებლოს ხდის. მან ხომ ისეთი მოქალაქე უნდა აღზარდოს, რომელიც ადვილად მოახდენს ორიენტაციას მრავალფეროვან სამყაროში. ეს კი პედაგოგისგან მოითხოვს, ერთი მხრივ, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ღრმად გააზრებას და თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად ქცევას, მეორე მხრივ, ეროვნული სასწავლო გეგმის ხორცშესხმას. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა – სწორად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, რათა ხელი შეუწყოს მოზარდის სასიცოცხლო უნარის განვითარებას – „მთელი ცხოვრების განმავლობაში დამოუკიდებლად შეიძინოს ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები“(ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. თბილისი. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. 2006 წელი. გვ. 4).

ამის მიღწევა, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, სხვა აქტივობებთან ერთად, შესაძლებელია ისეთი მეთოდის გამოყენებით, როგორიც არის პროექტი.

სასწავლო პროექტი არის კონკრეტული პრობლემის გადჭრისკენ ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული ქმედებისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. თბილისი. TPDC.GE. 2011 წელი. გვ. 97).

სკოლის პროექტ-გაკვეთილის მიმდინარეობა შეიძლება დაიყოს შემდეგ ფაზებად:

**1. თემა და მიზანი** – რეალისტური, სახალისო, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

**2. დაგეგმვა** – ამ ეტაპზე განისაზღვრება: რა პრობლემის მოგვარებას აპირებს სასწავლო პროექტში ჩართული ჯგუფი? როგორ შეიძლება დავახასიათოთ პრობლემა? რა მიზანს ემსახურება პროექტი? როგორ შეიძლება დავახასიათოთ მიზანი? როდის ჩაითვლება მიზანი მიღწეულად?

**3. მომზადება** – ამ ეტაპზე უნდა მომზადდეს ისტ და სხვა დამხმარე საშუალებები, გაფრთხილდნენ ის ადამიანები, რომელთა მონაწილეობაც პროექტში მნიშვნელოვანია.

**4. განხორციელება** – წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით სამუშაო ჯგუფი ახორციელებს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ სამუშაოებს. შესაძლოა, რეალური სამუშაოები განსხვავდებოდეს დაგეგმილისგან, მაგრამ ეს განსხვავება დიდი არ უნდა იყოს.

**5. წარდგენა** – ჯგუფმა უნდა მოამზადოს პროექტის მიმდინარეობისა და შედეგების პრეზენტაცია.

**6. შეფასება** – ამ საფეხურზე მასწავლებელი, მოსწავლეებთან შეთანხმებული რუბრიკის შესაბამისად, აფასებს პროექტის განხორციელებასა და მიღწეულ შედეგებს (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. თბილისი. TPDC.GE. 2011 წელი. გვ. 103).

პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის აუცილებელია პროექტის გეგმის შედგენა. მეთოდურ ლიტერატურაში უხვად არის წარმოდგენილი პროექტის გეგმის ნიმუშები, მათი სინთეზის შედეგად შევიმუშავეთ ჩვენთვის მისაღები და შევადგინეთ პროექტის გეგმა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: პროექტის სახელწოდება; პროექტის მონაწილეები; პრობლემის ანალიზი; პროექტის მიზანი; პროექტის ამოცანები; მოსალოდნელი შედეგები; მიზნობრივი ჯგუფები; ამოცანების განსახორციელებლად საჭირო საქმიანობები; სამუშაო გეგმა; პროექტის ბიუჯეტი; პროექტის შეფასება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაკვეთილი-პროექტისათვის ყველა ეს პუნქტი სავალდებულო არ არის.

შემოგთავაზებთ რეალურად განხორციელებული პროექტის მიმდინარეობას. ჩნდება ინიციატივა და მნიშვნელოვანია თემისა და მიზნების განსაზღვრა. თემა – მ. ი. ლერმონტოვის პოემა „მწირის“ მხატვრული ენის შესწავლა.

პროექტის თემის განსაზღვრის შემდეგ მნიშვნელოვანია მიზნების გამოკვეთა, ანუ რის გაკეთებას ვაპირებთ და რა შედეგს მივიღებთ. მიზნები პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

1. რა პროდუქტი შიქმნება პროექტის შედეგად;

2. რას მისცემს მოსწავლეებს ეს პროექტი.

პრობლემის განხორციელება დაიწყო ჯგუფის შექმნით, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ XI კლასის მოსწავლეები. მათ წინაშე დაყენებულ იქნა პრობლემა – პოემა „მწირის“ მაგალითზე განსაზღვრონ ლექსიკური და მხატვრული საშუალებების როლი ნაწარმოებში. მიეცათ დავალება – პრობლემა სხვადასხვა გზით გადაჭრან,

მაგალითად:

1. შეისწავლონ პოემის ტექსტი ორიგინალში;

2. მოიძიონ ტექსტში ლექსიკური და მხატვრული საშუალებები;

3. განსაზღვრონ მათი როლი მხატვრული ნაწარმოების შინაარსის გაგებისა და იდეის ანალიზისათვის;

4. შექმნან ილუსტრაციები პოემის გამონათქვამების მიხედვით;

5. მოამზადონ საპრეზენტაციო მასალები დასკვნითი გაკვეთილისათვის.

მთლიანი ჯგუფის რამდენიმე შეხვედრა მიეძღვნა ნაწარმოების ტექსტის შესწავლასა და მშობლიურ ლიტერატურაში შესწავლილ მხატვრულ სამკაულებს. დამუშავებულ იქნა ანალოგიური მასალა რუსულ ენაზეც, რის შედეგადაც:

1. წყვილებმა მიიღეს დავალება, ინტერესების შესაბამისად მოეძიათ ნაწარმოებში სინონიმები, ანტონიმები, არქაიზმები, ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები და განესაზღვრათ მათი როლი მხატრული ნაწარმოების შინაარსისა და იდეის გაგებისათვის;

2. წყვილები გაერთიანდნენ ჯგუფებში, ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები და გააერთიანეს მათ მიერ მოძიებული მასალა;

3. შეგროვილი მასალა აიტვირთა კომპიუტერში და ბუკლეტის გამოსაცემად მომზადდა;

4. საპრეზენტაციო ფაილის მომზადება;

6. ილუსტრაციების შექმნა ნაწარმოების გამონათქვამების მიხედვით, მაგალითად:

ა. „Душой дитя. Судьбой монах.“

ბ. „О, я как брат обняться с бурей был бы рад“ და სხვ.;

7. შექმნილი ილუსტრაციების მიხედვით მომზადდა ფოტოგალერეა.

მოსწავლეები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ეცნობიან და სწავლობენ ნაწარმოების მხატვრულ მხარეს, ხოლო უცხოურ ენაში ამას არ ექცევა ყურადღება, აქ მხოლოდ ლექსიკური ერთეულები (სინონიმები, ანტონიმები დ სხვ.) შეისწავლება და გამოიყენება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ისინი გასცდნენ შესწავლილ მასალას და ინტერპრეტირების, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების გზით შექმნან ცოდნა.

მშობლიურ ენაში მიღებული ცოდნისა და რუსული ლიტერატურათმცოდნეობითი მასალის გაცნობის შედეგად მოსწავლე ადგენს, რომ ეპითეტი არის განსაზღვრება, რომელიც უბრალოდ კი არ გამოყოფს მოვლენის ან გმირის თვისებას, თავისებურებას, არამედ საშუალებას გვაძლევს, ცოცხლად წარმოვიდგინოთ ის, განვიცადოთ და დავინახოთ. მოსწავლეები მოიძიებენ ტექსტში ეპითეტების მაგალითებს და აანალიზებენ მის მნიშვნელობას პოემის შინაარსის გაგებისათვის. მაგალითად, ეპითეტი „Прозрачная зелень листьев“ – რეალისტური სახეა, ამავდროულად, ემოციური დატვირთვაც აქვს, იწვევს სინორჩის, სისპეტაკისა და სიწმინდის განწყობილებას.

მეტაფორის, როგორც მხატვრული ხერხის, მნიშვნელობის შესწავლის შემდეგ, მოსწავლეები ტექსტში მოიპოვებენ შესაბამის მაგალითებს, მოჰყავთ ანალოგიები ქართული ნაწარმოებებიდან და ანალიზის შედეგად ასკვნიან, რომ მეტაფორა გმირის სულიერი განცდის გადმოცემის, გაგების ეფექტური საშუალებაა. მოსწავლეები ასკვნიან, რომ метафоры приобретают точное смысловое значение и служат средством выражения напряженных душевных переживаний героя. Такое значение приобретает метафора „пламень“.

Я знал одной лишь думы власть<br>
Одну – но пламенную страсть<br>
Эта пламень с юных лет, таяся, жила в душе Мцыри. Она сожгла его сердце.

სასწავლო პროცესი, ფაქტობრივად, გასცდა საკლასო გარემოს და დროით ჩარჩოებს, რადგან პროექტის ფარგლებში მოეწყო სასწავლო ექსკურსია ჯვრის მონასტრის დასათვალიერებლად, სადაც მოსწავლეებმა გადაიღეს ფოტოსურათები და შექმნეს ვიდეოკლიპი.

ფოტოგადაღებისთვის ხედები შეირჩა პოემის ტექსტთან კავშირში, მაგალითად:

„Обнявшись, будто две сестры,<br>
Струи Арагвы и Куры“

„Столбы обрушенных ворот“ და სხვ.

თავისთავად ეს ფოტოებიც ხელს უწყობს ნაწარმოების შინაარსის გაგებასა და მხატვრული სამკაულების მნიშვნელობაში წვდომას. როცა მოსწავლეებმა ნახეს მტკვრისა და არაგვის შეერთება, უფრო კარგად გაიაზრეს და ღრმად ჩასწვდნენ შედარებას „Обнявшись, будто две сестры“.

პროექტისა და, შესაბამისად, გაკვეთილის თემატური პარამეტრები ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ამას სტანდარტი მოითხოვს. ასე მაგალითად, უცხო ენის სტანდარტი არ ითვალისწინებს სტილისტური ფიგურების შესწავლას. გაკვეთილზე იყო წარმოდგენილი სტილისტური ფიგურები: მიმართვა, ინვერსია, რიტორიკული შეკითხვები, ძახილის წინადადებები. მოსწავლეებმა გაიაზრეს მათი როლი ნაწარმოების შინაარსის გაგებაში. მაგალითად, პოემა დატვირთულია რიტორიკული შკითხვებითა და ძახილის წინადადებებით, რომლებიც გადმოსცემენ მწირის სულიერ განწყობას, ხსნიან მის ხასიათს და შინაგან სამყაროს: „Что за нужда? Ты жил старик!!“, „Ты жил, – я так же мог бы жить!“, „Где всех один я побеждал!“ – ეს მაგალითები მწირის მგზნებარე, ცეცხლოვან, მოგიზგიზე სულს გვაცნობენ.

პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე, გააზრებული ჰქონდათ რა საერთო მიზანი, მოსწავლეებს უხდებოდათ თანამშრომლობა. ასე მაგალითად, ილუსტრაციებს ნაწარმოების მიხედვით ქმნიდა ერთი მოსწავლე (**მარიამ სანადირაძე**), მაგრამ იმისათვის, რომ დაეხატა სურათი „Душой дитя, судьбой монах“, – ამ საკითხს გუნდის სხვა წევრებთან ერთად განიხილავდა. მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ მწირის ტრაგედიის გადმოცემის მიზნით, კარგი იქნებოდა, ნახატზე გმირისათვის ჩაეცვათ ანაფორა, ხოლო მისი ბავშვური სამყარო გადმოეცათ მოქმედებით. ეჩვენებინათ, როგორ მისდევს ის პეპელას. ასეთი ნახატი მართლაც შეიქმნა. მსგავს განხილვებში ფასილიტატორის როლს ასრულებდა სახვითი ხელოვნების მასწავლებელი. პროექტის ფარგლებში შექმნილი ნახატები დღეს სკოლის ინტერიერს ამშვენებს.

მნიშვნელოვანი იყო ბუკლეტის სახელწოდების შერჩევა, რაც პროექტის მონაწილე ყველა წევრის დისკუსიის საგნად გადაიქცა. იყო აზრი, რომ ბუკლეტს პროექტის სახელწოდება – „სიტყვის ანალიზიდან ტექსტის ანალიზამდე“ – ჰქონოდა, რადგანაც ეს პროექტისა და გაკვეთილის მიზანს გაამართლებდა. თუმცა ერთ-ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ ის გაეცნო ბელინსკის სტატიებს პოემა „მწირის“ შესახებ, მოიტანა ამონარიდი – „САМОЦВЕТНЫЕ КАМНИ ПОЭЗИИ“ – და შემოიტანა წინადადება, რომ ეს სახელწოდება მიგვეცა ბუკლეტისათვის, მოსწავლეებიც დათანხმდნენ. მასწავლებელი, ამ შემთხვევაშიც, ფასილიტატორის როლს ასრულებდა.

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობა და კონსულტაციები, დახმარებისათვის ისტ-ის პედაგოგს მიმართავენ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა მოსწავლემ სწორედ ამ პროექტში მონაწილეობისას შეისწავლა Power Point-ის საშუალებით პრეზენტაციის მომზადება, უკვე აკრეფილი ტექსტის წიგნის სახით შეკვრა, საპრეზენტაციო მასალაზე მუსიკის დადება, ვიდეოკასეტაზე გადაღებული მასალის დამონტაჟება და დისკზე გადატანა.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ კიდევ უფრო დააახლოვა მოსწავლეები, რადგან ყველას სურდა მონაწილეობა არა მარტო ტექსტის ატვირთვაში, არამედ მის წიგნად შეკვრაში, ვიდეოკლიპის დამონტაჟებაში, საპრეზენტაციო ფაილის მომზადებაში. ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები შემდეგნაირად გაერთიანდა:

1. ლექსიკური ერთეულები და მათი როლი ნაწარმოებში;

2. მხატვრული ხერხები და მათი როლი ნაწარმოებში;

3. სტილისტური ფიგურები და მათი როლი ნაწარმოებში;

4. დასკვნა და შეფასება.

საბოლოოდ, ისტ-ის გამოყენებით, რომელმაც ხელი შეუწყო კოლაბორაციასა და ახალი ცოდნის კონსტრუირებას, მივიღეთ პროდუქტი, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი და რომელიც ისტ-ის გარეშე ვერ შეიქმნებოდა.

გულახდილად ვიტყვი, რომ ისტ-ის გამოყენებამ ხელი შეუწყო ჩემს პროფესიულ ზრდასაც. პროექტზე მუშაობის პროცესში მიხდებოდა ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომელთაც ადრე ჩემს პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია, მაგალითად, ბუკლეტის ატვირთვა და დაბეჭდვა, ვიდეოკლიპის გადაღება და დამონტაჟება, რამაც ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ჩემი და ისტ-ის პედაგოგის და, მეორე მხრივ, ჩემი მოსწავლეებისა და ისტ-ის პედაგოგის თანამშრომლობას.

პროექტის გამოყენება ეფექტურ გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე, რადგან: მოსწავლეებს უვითარებს ისეთ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს, როგორიცაა: წერა, კითხვა, მოსმენა; ხელს უწყობს კომუნიკაციას ადამიანებთან და ჯგუფებთან.

ასწავლის მოსწავლეს ტექნოლოგიური და სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტურად გამოყენებას; უვითარებს მოსწავლეებს უნარ-ჩვევასა და სურვილს, იყოს შემოქმედი, იცხოვროს არა მარტო არსებულის ხარჯზე, არამედ თვითონაც შექმნას ღირებული; მოსწავლეს (და მასწავლებელსაც) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესის უწყვეტი განვითარების სურვილს უჩენს. ეს კი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ეფექტური საშუალებაა.

**პროექტის შედეგები:**

1. შეიქმნა საინტერესო მასალა (ბუკლეტი, ვიდეოკლიპი, ილუსტრაციები, საპრეზენტაციო ფაილი), რომელიც განთავსებულია სკოლის ფეისბუკზე და ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაეცნოს და გამოიყენოს;
2. მოსწავლეები გაეცნენ და დაეუფლნენ სწავლის ისეთ ეფექტურ კოგნიტურ სტრატეგიებს, როგორებიცაა: მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა, მასალის დახარისხების უნარი;
3. არსებული ცოდნის გახსენება – ამ მიზნით, გამოყენებულ იქნა კოგნიტური სქემა „ვიცი, მინდა ვიცოდე, რა გავიგე“;
4. ჩანაწერების გაკეთება – გეგმის შედგენა;
5. ინფორმაციის გადამუშავება, დასკვნების გაკეთება, მაგალითების მოყვანა;
6. მასალის მოკლედ გადმოცემა წერილობით და ზეპირად.

პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო გონებრივი, ანუ მეტაკოგნიტური პროცესების თვითრეგულაციას: მიზნის დასახვა, დაგეგმვა, თვითმოტივაცია, ყურადღების კონტროლი, სწავლის სტრატეგიების მოქნილი გამოყენება, დახმარებისათვის მიმართვა.

წყვილებსა და ჯგუფში მუშაობამ მოსწავლეებს ისეთი ინტერპერსონალური უნარ-ჩვევები განუვითარა, როგორიცაა: სხვისი აზრის პატივისცემა და გათვალისწინება, ერთობლივი მუშაობის ტექნოლოგია, ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობა (ეს მნიშვნელოვანია, რადგან პროექტში სხვადასხვა ეროვნების ბავშვები იყვნენ ჩართული).

ყველაფერი ეს კი ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებას: წიგნიერება, ციფრული წიგნიერება, სემიოტიკური კომპეტენცია, სწავლის სწავლა და სოციალური კომპეტენცია.

პროექტის დასკვნითი ნაწილი – პრეზენტაცია გაკვეთილზე გაიმართა.

გაკვეთილის გეგმას, შეფასების რუბრიკით, შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

**ტარიელ კალანდაძე**
*სსიპ ქალაქ ოზურგეთის*
*№4 საჯარო სკოლის დირექტორი,*
*რუსული ენის მასწავლებელი*

**პედაგოგთა დასახმარებლად**



ეკა ტყავაშვილი

ინგლისური ენა

# კარნახის თანამედროვე ვარიაციები ინგლისური ენის გაკვეთილზე

ბევრი პედაგოგი თავს არიდებს კარნახის გამოყენებას იმ მიზეზით, რომ მოსაწყენი და ბევრი დროის წამრთმევი აქტივობაა. ტრადიციულად, პედაგოგი მასალას თვითონ ირჩევს. მოწაფეები იწერენ ყველაფერს, რასაც მასწავლებელი კარნახობს. ბოლოს მასწავლებელი ასწორებს ნაწერს. მაგრამ კარნახი, მოსაწყენი აქტივობიდან, შეიძლება კომუნიკაციურ აქტივობად გადაიქცეს, თუკი მასწავლებელი გამოიყენებს თანამედროვე მიდგომას. ფიქრობენ, რომ კარნახმა შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა ენობრივი ჩვევების განვითარებას, როგორიცაა: გრამატიკა, ზეპირი კომუნიკაცია, წარმოთქმა და მოსმენის უნარ-ჩვევა.

კარნახის გამოყენების მიზეზებია:

**1. მოწაფეები მაქსიმალურად არიან ჩართული აქტივობაში**

მოწაფე ხდება სუბიექტი იმ გაგებით, რომ აქტიურადაა ჩართული ვიზუალური ინგლისურის შექმნაში.

კარნახი არის ერთ-ერთი სავარჯიშო, რომლის დროსაც მასწავლებელი ერთდროულად და დაუყოვნებლივ იწვევს რეაგირებას აქტივობაში ჩართული ყველა მონაწილის მხრიდან.

**2. მოწაფეები აქტიურები არიან სავარჯიშოს დასრულების შემდეგ**

კარნახის გასწორება ის დავალებაა, რომლის შესრულებაც მოწაფეებს შეუძლიათ თანამშრომლობითი გზით. ასეთი სამუშაო ხელს უწყობს მოწაფეებში თვითშეფასებისა და თანამშრომლობითი შეფასების განვითარებას.

**3. კარნახი გადაიზრდება ზეპირ კომუნიკაციურ აქტივობებში**

კარნახი შეიძლება გამოიყენებოდეს მოწაფეებს შორის კომუნიკაციისათვის. მაგალითად, მასწავლებელი კარნახობს ინტერაქტიულ ტექსტს, როცა მოწაფეები არა მხოლოდ ჩაიწერენ იმას, რაც ესმით, არამედ რეაგირებენ წერილობით. მაგალითი: მე რომ მოვსულიყავი შენთან სახლში, როგორც სტუმარი, რას მაჩვენებდი პირველად?

კარნახის შემდეგ მოწაფეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში და ადარებენ პასუხებს. ფიქრი, რომელიც წარმოიქმნება კარნახის ფაზაში, შესაძლოა ბუნებრივად გადაიზარდოს ჯგუფის სხვა წევრებთან გამოცდილების შედარებაში.

**4. კარნახი ხელს უწყობს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას**

მასწავლებელი მოწაფეებს ძალიან სწრაფი ტემპით კარნახობს სიტყვებს, მაგალითად: village, emigrate, marriage, absence, pregnant, shame, attack, destruction, birth, deep well, suicide.

მოწაფეები წყვილდებიან და ცდილობენ აღიდგინონ მასწავლებლის მიერ ნაკარნახევი სიტყვები. შემდეგ კი დაწერონ მოთხრობა მათი გამოყენებით. ამ შემთხვევაში, კარნახი იკავებს მოსწავლეების გონების მხოლოდ ნაწილს. სიტყვების ჩაწერა მხოლოდ ინკუბაციის ფაზაა მოთხრობის შედგენისთვის.

ზედაპირულად ისე ჩანს, თითქოს მოწაფეები მუშაობენ ნაკარნახევი სიტყვების აღდგენაზე, მაგრამ სინამდვილეში მათი გონება გაუცნობიერებლადაა გადართული ასოციაციებზე, რასაც ეს სიტყვები იწვევს, რაც მოთხრობის შექმნისთვის ძლიერი საფუძველია.

**5. კარნახი სხვადასხვა უნარის მქონე ჯგუფებში**

მაგალითად, მასწავლებელი ირჩევს ტექსტს, რომელიც შედარებით ადვილია წინწაწეული დონის მოწაფეებისთვის. კარნახის დროს მათ არავითარ დახმარებას არ სთავაზობს. დამწყებებს კი სთავაზობს ტექსტს, სადაც გამოტოვებულია 10-15 სიტყვა. მათ ევალებათ გულისყურით მოუსმინონ ტექსტს და შეავსონ გამოტოვებული სიტყვები, მაშინ, როცა წინწაწეული დონის მოწაფეები წერენ მთლიანად ტექსტს. კარნახის ბოლოს, ისინი უხსნიან ტექსტს დამწყებებს და ამოწმებენ სიტყვებს, რომლებიც ჩასვეს. გამოყენებული ტექსტის დონე და გამოტოვებული სიტყვების რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს გარკვეული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კარნახის მრავალი სავარჯიშო ეხმარება მასწავლებელს, ოპტიმალურად გამოიყენოს ჯგუფის უნარების სხვადასხვა დიაპაზონი.

**6. კარნახი დიდ ჯგუფებთან**

მასწავლებელმა კარნახი (სხვა ხერხებისგან განსხვავებით) შეიძლება გამოიყენოს როგორც მცირე ჯგუფებთან, ასევე 20 და მეტ მოწაფესთან. მას აქვს საშუალება ჩართოს მოწაფეები ენის აქტიურად გამოყენებაში.

**7. კარნახი ხშირად ამშვიდებს ჯგუფებს**

კარნახს, გარდა იმისა, რომ მასწავლებელი ფარულად აკონტროლებს აქტივობის თემას და ტემპს, აქვს რიტმული, ნახევრად ჰიპნოზური ასპექტი, რასაც ყველა, მათ შორის მასწავლებელი, მსუბუქ ტრანსში გადაჰყავს.

**8. კარნახი ენის არმატარებელი მასწავლებლისთვის უსაფრთხოა**

თანამედროვე მიმართულებები მეთოდიკაში წაახალისებს მრავალ სავარჯიშოს, რომლებიც ღია დაბოლოებისაა; მათი წარმატებით შესრულება დამოკიდებულია მასწავლებლის მიერ შესასწავლი ენის კარგ ფლობაზე, რაც ენის არმატარებელ მასწავლებელს მძიმე ტვირთად აწევს. მეორე მხრივ, მასწავლებელმა შეიძლება წინასწარ მოამზადოს კარნახი.

**9. კარნახი ინგლისურისთვის სასარგებლო სავარჯიშოა**

ქართულისთვის კარნახი ნაკლებად სასარგებლოა, რადგან კავშირი ბგერით სისტემასა და მართლწერას შორის არ წარმოადგენს პრობლემას. ინგლისურში კი ეს პრობლემა არსებობს.

I went to **Slough** (rhymes with **cow**)
She has a bad **cough** (rhymes with **off**)
You are looking **rough** ( rhymes with **cuff**)
It's coming **through** ( rhymes with **too**)
That's what I **thought**. (rhymes with **four**)

ამ სახის სირთულე – ასო-ბგერის შეუსაბამობა – ამართლებს კარნახის, როგორც სავარჯიშოს, გამოყენებას ინგლისური ენის გაკვეთილზე.

გაგაცნობთ კარნახის რამდენიმე ვარიაციას, რომელთა გამოყენება მოწაფეებისთვის სასარგებლოა და ამავდროულად საინტერესოც.

**აქტივობა 1. ფერების კარნახი**

**დონე**: ელემენტარული ასაკი 6-8
**დრო:** 5-10 წუთი
**ორგანიზაცია**: ინდივიდუალური, მთელი კლასი
**მიზნები**: მოუსმინო და გააფერადო სურათი ინსტრუქციის მიხედვით; კონცენტრაციის უნარ-ჩვევა; ფერების დასახელება და სურათის აღწერა
**ენობრივი ფოკუსი:** ზმნა „ყოფნა", ახლანდელი მარტივი დრო, ფერები
**მასალა**: ფერადი ფანქრები

**მსვლელობა:**

ეტაპი 1. მასწავლებელი მარტივ სურათს ხატავს დაფაზე და ბავშვებს სთხოვს, გადახატონ ან აძლევს დასარიგებელ მასალას.

ეტაპი 2. მასწავლებელი ამბობს წინადადებებს და აღწერს სურათებს, მაგალითად, სახლი იასამნისფერია. ბავშვები აფერადებენ სურათს ინსტრუქციის შესაბამისად.

ეტაპი 3. როცა მოწაფეები დაასრულებენ დავალებას, მასწავლებელი ეკითხება, რა ფერია სახლი? ან მოწაფეებს სთხოვს, აღწერონ სურათი, მაგალითად, მოწაფე ამბობს, სახლი იასამნისფერია.

**აქტივობა 2. შემოქმედებითი გადაწერა**

**დონე:** ელემენტარულს ზემოთ ნებისმიერი
**დრო**: 20-30 წუთი
**ორგანიზაცია:** ინდივიდუალური, მცირე ჯგუფები
**მიზანი**: ამ აქტივობაში მოწაფეები ცვლიან მასწავლებლის მიერ ნაკარნახებ წინადადებებში ზოგიერთ ელემენტს
**ენობრივი ფოკუსი:** წინადადების სტრუქტურა
**მასალა:** სუფთა ფურცლები, კალმები, კარნახისთვის წინადადებები:

Writing in English is difficult
A bird in the hand is worth two in the bush.
There's no time like the present.
There's no place like home.
Variety is the spice of life.

**მსვლელობა:**

ეტაპი 1.მასწავლებელი მოწაფეებს აძლევს ინსტრუქციას: ის უკარნახებს მათ მთელ რიგ მოკლე წინადადებებს. მოწაფეებმა უნდა შექმნან საკუთარი ადაპტირებული ვერსიები. მთავარი პირობაა ის, რომ შეინარჩუნონ ორიგინალური სტრუქტურა, მაგრამ ჩაანაცვლონ ერთი ან რამდენიმე სიტყვა წინადადებაში. მოწაფეებმა ჯერ უნდა დაწერონ ორიგინალური ვერსია და მხოლოდ ამის შემდეგ – ადაპტირებული. მასწავლებელი ნიმუშის სახით აძლევს შემდეგ წინადადებას:

A change is as good as rest. მოწაფეებმა უნდა მოიფიქრონ ვერსიები სიტყვების – change და rest – შესაცვლელად.

ეტაპი 2. მასწავლებელი კარნახობს თითოეულ წინადადებას და აძლევს საკმარის დროს, რომ ჩაწერონ შეცვლილი ვარიანტი.

ეტაპი 3. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი უკარნახებს ყველა წინადადებას, ორი ან სამი წუთი ეძლევათ მოწაფეებს, რომ გადახედონ თავიანთ ნაწერს და შეავსონ გამოტოვებული ადგილები, რისი გაკეთებაც ვერ შეძლეს კარნახის დროს;

ეტაპი 4. მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში და ირჩევენ ყველაზე ეფექტურ წინადადებებს მთლიანი კლასისთვის წარსადგენად;

ეტაპი 5. კლასის კედლებზე ეწყობა ამ წინადადებების გამოფენა.

**აქტივობა 3. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა**

**დონე:** საშუალო და ზემოთ
**დრო**: 20-30 წუთი
**ორგანიზაცია:** ინდივიდუალური, მცირე ჯგუფები
**მიზანი**: მოწაფეები გამოთქვამენ აზრს მათ მიერ შერჩეულ თემაზე
**ენობრივი ფოკუსი:** თემატური ლექსიკა
**მასალა:** სუფთა ფურცლები, კალმები, პასტები

**მსვლელობა:**

ეტაპი 1. მასწავლებელი იყენებს გონებრივი იერიშის ხერხს, რათა სტუდენტებმა დაასახელონ თემები. მოწაფეები კენჭის ყრით, ხმათა უმრავლესობით ირჩევენ თემას, რომლის შესახებაც უნდა გამოთქვან აზრი.

ეტაპი 2. მასწავლებელი მოწაფეებს სთხოვს, დაწერონ ხუთი წინადადება არჩეული თემის გარშემო და გამოხატონ საკუთარი აზრი.

ეტაპი 3. მასწავლებელი შეაგროვებს წინადადებებს და დაფაზე ხაზავს 5 სვეტს შემდეგი სათაურებით:

ვეთანხმები/არ ვეთანხმები/უმეტესობა ჩემს ქვეყანაში ეთანხმება/X ჩემს ოჯახში ეთანხმება/მასწავლებელი ალბათ ეთანხმება.

ეტაპი 4. მასწავლებელი სთხოვს მოწაფეებს, გადახატონ სვეტები.

ეტაპი 5. მასწავლებელი მოწაფეების მიერ შედგენილი წინადადებებიდან კარნახობს, ბარათებზე შერჩევით, 10-15 წინადადებას. ისინი საკუთარ მოსაზრებას წერენ თითოეულ შესაფერის სვეტში (შენიშვნა: მასწავლებელმა უნდა უკარნახოს გასწორებული წინადადებები, ამის აღნიშვნის გარეშე).

ეტაპი 6. მასწავლებელი სთხოვს მოწაფეებს, იარონ საკლასო ოთახში იმისთვის, რომ აზრების თავიანთი კატეგორიზაცია თანაკლასელებისას შეადარონ.

ეტაპი 7. დისკუსიის ფაზის დასასრულს მოსწავლეები მასწავლებელს კარნახობენ იმ წინადადებებს, რომელთა სისწორეში არ არიან დარწმუნებული. მასწავლებელი დაფაზე წერს სწორ ვარიანტებს, ხოლო მოწაფეები ამოწმებენ.

**აქტივობა 4. სამი დაუკავშირებელი რამ**

**დონე:** საშუალო და ზემოთ
**დრო**: კლასში 20- 30 წუთი
**ორგანიზაცია:** ინდივიდუალური, წყვილები, მთელი კლასი
**მიზანი:** ამ აქტივობაში მოწაფეები ქმნიან ორიგინალურ მოთხრობას მასწავლებლის მიერ ნაკარნახევი სიტყვების გამოყენებით
**ენობრივი ფოკუსი:** ლექსიკა, წარსული მარტივი დრო, წარსული განგრძობითი დრო
**მასალა:** პასტები, ფურცლები

**მსვლელობა:**

ეტაპი 1. მასწავლებელი კარნახობს მოწაფეებს სამი საგნის სახელს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან. მაგალითად, მან შეიძლება შესთავაზოს შემდეგი სიტყვები: a snake, a piece of dirty paper და rainbow.

მასწავლებლის მოთხოვნით მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ მოთხრობა, რომელიც ამ სამ სიტყვას შეიცავს. მოსაფიქრებლად ერთი წუთი ეძლევათ.

ეტაპი 2. მოწაფეები წერენ მოთხრობებს.

ეტაპი 3. მოწაფეები ერთმანეთს უკითხავენ თავიანთ მოთხრობებს და ადგენენ უკუკავშირს.

ეტაპი 4. მასწავლებელი მოთხრობებს კედლებზე გამოფენს. მოწაფეები დგებიან, დადიან ოთახში და კითხულობენ ერთმანეთის ნამუშევრებს.

ეტაპი 5. მოწაფეები ხმას აძლევენ საუკეთესო ნამუშევარს.

**აქტივობა 5: ნახევარი მოთხრობა**

**დონე:** საშუალო
**დრო:** 20-30 წუთი
**ორგანიზაცია:** ინდივიდუალური
**მიზანი:** მასწავლებლის მიერ ნაკარნახებ ტექსტს მოწაფეები შემოქმედებითად განავრცობენ.
**ენობრივი ფოკუსი:** აღწერილობითი ლექსიკა, ემოციების გამომხატველი ლექსიკა
**მასალა:** სუფთა ფურცლები, კალმები/პასტები

**მსვლელობა:**

ეტაპი 1. მასწავლებელი კარნახობს მოწაფეებს წინადადებებს და აძლევს ინსტრუქციებს:

**Giovanni**

Giovanni was having a rather heated exchange with his history teacher. She was getting more and more upset. (დაწერეთ მათი საუბრის დასაწყისი)
When Giovanni got home he went into the kitchen and said hello to his Mum. (აღწერეთ დედა).
She called the family to table and they all sat down to eat, It didn't take long for Giovanni's Mum and Dad to start arguing. (დაწერეთ მათი კამათის შესახებ)
Giovanni couldn't stand it any longer. He left the table and went upstairs banging the dining-room door behind him. When he got into his room he shut the door and put on some music. (აღწერეთ მუსიკა)

ეტაპი 2. მოწაფეები წყვილებში უკითხავენ ერთმანეთს მოთხრობებს და ადარებენ თავიანთ ვარიანტებს.

**აქტივობა 6: პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაცემა (Passing the Buck)**

**დონე:** ელემენტარულიდან ზემოთ
**დრო:** 15 წუთი
**ორგანიზაცია:** ინდივიდუალური, წყვილები
**მიზანი**: თვითშეფასების და თანატოლთა შეფასების განვითარება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარება
**მასალა:** სუფთა ფურცლები, ფანქრები/კალმები, საკლასო განლაგება – წრიული ან ნახევარწრე, ტექსტის ასლები თვითშემოწმებისთვის.

**მსვლელობა:**

ეტაპი 1. მოწაფეები სხედან წრიულად. მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას, რომ ყველა წინადადება დაწერონ ახალ ხაზზე.

მასწავლებელი კარნახობს მოწაფეებს ტექსტის პირველ წინადადებას.

ეტაპი 2. მას შემდეგ, რაც მოწაფეები დაწერენ წინადადებას, გადააწოდებენ ფურცელს მარჯვნივ მჯდომს. ის კითხულობს და ხაზს გაუსვამს, თუ აღმოაჩენს შეცდომას, მაგრამ არ ასწორებს მას.

ეტაპი 3. მასწავლებელი კარნახობს მეორე წინადადებას. მოწაფეები დაწერენ და კვლავ გადააწოდებენ მარჯვნივ მჯდომ თანაკლასელს. ამჯერად, მოწაფეები ასწორებენ პირველ ხაზგასმულ წინადადებას და ხაზს უსვამენ შეცდომას მეორე წინადადებაში. ასე გრძელდება, ვიდრე ტექსტი არ დამთავრდება. მოწაფეები მუშაობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში და ასწორებენ მთლიან ტექსტს. ბოლოს მასწავლებელი აწოდებს მათ სწორ ვარიანტს.

ეტაპი 4. მას შემდეგ, რაც გასწორდება ენობრივი შეცდომები, მასწავლებელი მოწაფეებს ჯგუფებად ჰყოფს და სთხოვს, იკამათონ და ახსნან ის პრობლემა/გამოცანა, რასაც კარნახის ტექსტი შეიცავს. მაგალითი:

A man and his son had been to a party. They were driving back together. They had a very good time. It was raining and the road was wet. A cat was crossing the road. The man swerved to avoid the cat. The car skidded on the wet road. It crashed into a tree. The man was killed. His son was seriously injured. Someone called for an ambulance. It rushed the son to hospital. He was immediately taken to the operating theatre. The surgeon washed and went into the theatre. The surgeon saw the boy and shouted, "My son! My Son!"

ამგვარად, კარნახის შემოთავაზებულ სახეებში, მითი იმის შესახებ, რომ მასწავლებლის როლი განუზომელია, იმსხვრევა. მასწავლებლის გარდა, მასალა კარნახისთვის შეიძლება მოწაფეებმაც შეარჩიონ; შეიძლება თავად შექმნან წინადადებები ან ტექსტის მონაკვეთები. რაც შეეხება გასწორებას, შეიძლება მოწაფეებმა თავიანთი ნაწერი ერთმანეთს გაუსწორონ. გარდა ამისა, მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეს გადასცეს კარნახის უფლება. კარნახის ტემპიც თავად აკონტროლონ, ჩაიწერონ მთლიანი წინადადებები ან ის მონაკვეთები, რომელთაც ეთანხმებიან, ან მთლიანი ტექსტი პლუს საკუთარი რეაქცია.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს, თამამად გამოვიყენოთ კარნახი, როგორც მოწაფეზე ორიენტირებული აქტივობა.

ქართული ლიტერატურა

# სტანდარტის ინდიკატორები როგორც ლიტერატურული ტექსტის გააზრების მეთოდები და სტრატეგიები



ირაკლი ხვედელიძე

## 1. შესავალი

სტანდარტის ინდიკატორების გათვალისწინებით, პედაგოგს შეუძლია დაადგინოს, ამა თუ იმ ტექსტს რა საგანმანათლებლო ღირებულება აქვს; წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებული ინდიკატორების მრავალფეროვნება კი განპირობებულია იმით, რომ მხატვრული ნაწარმოების გააზრება ინფორმაციის პასიურ მიღებაზე არ დაიყვანება; ის გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის დაკავშირებას ახალ ინფორმაციასთან და ლიტერატურული ტექსტის სპეციფიკის (ენობრივი, ჟანრობრივი და ა.შ.) მიხედვით მათ გაფილტვრას და ახლებურად შეკავშირებას.

წინამდებარე სტატიაში, *ეროვნულ სასწავლო გეგმაში* მოცემული კითხვის ინდიკატორების გარდა, წარმოდგენილია ლიტერატურული კომპეტენციის რამდენიმე ასპექტი, რომლებიც პედაგოგებს დამატებით ინდიკატორებად შეუძლიათ გაითვალისწინონ. სტატიის მთავარი მიზანი კი ისაა, პედაგოგებს აჩვენოს, როგორ შეიძლება დამოუკიდებლად, ინდიკატორების გამოყენებით, წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებული დავალებების შედგენა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წარმოუდგენელია კლასში შესატანი ნებისმიერი სავარაუდო ტექსტისათვის პედაგოგმა გამზადებული დავალებები მოიძიოს, ვფიქრობთ, ჩვენი მითითებები დაეხმარება მათ, დამოუკიდებლად გაართვან თავი ამ გამოწვევას.

## 2. მხატვრული ტექსტის გააზრების სტანდარტები

ლიტერატურული ტექსტების გაგებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ოთხი უნარის ქონა:

ა) *სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება.* ლიტერატურული ტექსტის ცალკეული მონაკვეთის გასააზრებლად აუცილებელია მისი დაკავშირება სხვა ერთ ან რამდენიმე მონაკვეთთან, ეპიზოდთან. ამასთან, მოსწავლე უნდა დააკვირდეს, ეს ეპიზოდები თანმიმდევრულადაა ტექსტში მოცემული თუ ერთმანეთისგან განცალკევებით. ლიტერატურული კომპეტენცია გულისხმობს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის ზოგადი შინაარსის გააზრების შემდეგ დამატებით, ტექსტში სხვა სემანტიკური მიმართებების მოძიებას.

*ბ) გადატანითი მნიშვნელობის ამოკითხვა.* ლიტერატურული კომპეტენციის ნაწილია ლიტერატურულ ტექსტში გადატანით მნიშვნელობათა არსებობის აპრიორული მოლოდინი და მათი გაშიფვრის უნარი.

*გ) სხვადასხვა შინაარსობრივი დეტალის ურთიერთშეთავსება.* აღნიშნულ კომპეტენციასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: ლიტერატურული ტექსტის გააზრების ზემოთ ხსენებული ასპექტები (სტრუქტურული მთლიანობა, გადატანითი მნიშვნელობების არსებობა) რამდენად თავსებადია ერთმანეთთან? ლიტერატურული კომპეტენციის სპეციფიკური მახასიათებელია ის, რომ მოსწავლემ ტექსტის გააზრების რამდენიმე ვარიანტი დაუშვას. ამის მაგალითია *არააქტორული თხრობა,* რომელშიც პერსონაჟთა ქცევის მოტივაცია ცალსახა არაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მეტია ტექსტში გადატანითი მნიშვნელობის მქონე და მკითხველის წარმოსახვით დასასრულებელი ეპიზოდი, მისი გააზრება მით უფრო მაღალ ლიტერატურულ კომპეტენციას მოითხოვს მოსწავლისაგან.

იმისათვის, რომ ლიტერატურული ტექსტის გააზრება შეესაბამებოდეს *პიზას კვლევის* რეკომენდაციებს, საჭიროა, აღნიშნულ კომპეტენციებს სხვა ქვეკომპეტენციებიც დაეფუძნოს.

*ა) ტექსტთან დაკავშირებული ინტერპრეტაცია.* ცალკეული დეტალების ანალიზის შემდეგ მნიშვნელოვანია, მოსწავლემ ტექსტი განზოგადებულად, კონცეპტუალურად გააანალიზოს. ამ ტიპის აქტივობად, მაგალითად, შეიძლება ჩაითვალოს საკვანძო ფრაზის/ავტორისეული ჩანაფიქრის გამოყოფა. ლიტერატურული კომპეტენციის სპეციფიკური მახასიათებელია, მხატვრული ტექსტის ორაზროვნების გათვალისწინებით, იმგვარი ინტერპრეტაციის გაკეთება, რომლის დასაბუთება ცალსახად ვერ ხერხდება (ეს კომპეტენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსებისა და იგავური პროზის ანალიზისას).

*ბ) რეფლექსია და შეფასება.* ანალიზის შემდეგ მოსწავლემ უნდა განსაზღვროს, ემოციური თვალსაზრისით, მისთვის რამდენად ღირებულია განხილული ლიტერატურული ტექსტი; მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს, რომ ლიტერატურული ტექსტის კითხვისას წარმოშობილი მისი ემოციები მეორეხარისხოვანი კი არაა, არამედ *ლიტერატურული რეცეფციის* ნაწილია.

*გ) მიღებული ცოდნის ინტერპრეტაცია, მასზე რეფლექსია და მისი შეფასება.* ეს სტანდარტი მოსწავლეს ავალდებულებს, გაანალიზებული ლიტერატურული ტექსტი საკუთარ ფასეულობებზე, შეხედებულებეზე, გარესინამდვილის შესახებ წარმოდგენაზე რეფლექსიის საშუალებად აქციოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქცევა ლიტერატურული ტექსტი საგანმანათლებლო/შემეცნებით წყაროდ. ლიტერატურული კომპეტენციის ამ ასპექტის გათვალისწინებით მიიჩნევა, რომ ლიტერატურის სწავლებას მოსწავლის პიროვნული იდენტობის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის გაკვეთილი მოსწავლის ფასეულობებისა და შეხედულებების მეყსეულ ცვლილებას და ლიტერატურულ ტექსტში წარმოდგენილ ვარიანტებზე მორგებას კი არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ საკუთარ იდენტობის კონცეპტზე რეფლექსიას ისახავს მიზნად.

წინამდებარე წერილში ჩვენ არ განვიხილავთ, რამდენად გამართულია ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორები. განხილული კომპეტენციების ნაწილი გათვალისწინებულია ქართულ სტანდარტში, ნაწილი კი პიზას კვლევის შედეგებს ეფუძნება. ამ შემთხვევაში, თითოეული განხილული ლიტერატურული კომპეტენცია უნდა გავიაზროთ როგორც სტანდარტის ინდიკატორები და რაც მთავარია, მათზე დაფუძნებით შევიმუშაოთ დავალების ტიპები. ამასთან, არაა აუცილებელი, ცალკეული ტექსტის ანალიზისას მოსწავლეს ლიტერატურული კომპეტენციის ყველა დასახელებული ასპექტი ერთდროულად დასჭირდეს.

როცა ლიტერატურული ტექსტების სწავლების მეთოდებს ვეხებით, მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ეს არსებითად სტანდარტების კარგად ცოდნას გულისხმობს, ხოლო რაც შეეხება ცალკეული ტექსტის სწავლებას და მისთვის დავალების ტიპების შემუშავებას, ეს ერთი განზოგადებული მოდელის მიხედვით ვერ მოხდება. საამისოდ პედაგოგმა თავად უნდა წაიკითხოს ტექსტი, მოინიშნოს ის ადგილები, რომლებიც ამა თუ იმ ინდიკატორს ეხმიანება, მაგალითად, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები და ფრაზები, ეპიზოდები და მონაკვეთები, რომელთა ინტერპრეტაცია მხოლოდ წინა და მომდევნო ეპიზოდების გათვალისწინებითაა შესაძლებელი; ტექსტის ზოგადი შინაარსის გათვალისწინებით განსაზღვროს, რამდენად და რა სახით შეიძლება დაუკავშირდეს აღნიშნული ტექსტი მოსწავლეთა ყოველდღიურ გამოწვევებს და ა.შ. ამის შემდეგ მონიშნული ინფორმაციის გასააზრებლად შეიმუშაოს კითხვები, რომლებზე პასუხის გაცემაც შესაძლებელს გახდის ტექსტის სრულყოფილ ანალიზს.

## 3. დავალებები

ჯანი როდარი – **„უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანა“**

მოგზაურობის გიჟიაო, რომ იტყვიან, სწორედ ჯოვანინო ჩიტირეკიაზე იყო ზედგამოჭრილი. იმდენი იარა, იმდენი იხეტიალა, თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მიადგა ერთ უცნაურ ქვეყანას. იმ ქვეყანაში სულ კვერცხივით მრგვალი სახლები იდგა. ახლა სახურავებს არ იკითხავ, რანაირი სახურავები ჰქონდათ? იმისთანა კი არა, როგორიც სხვა ქვეყნებშია –გაშვერილ-გამოშვერილი, სუყველა ერთიანად ნაპირებაზნექილი, ბოლოში მრგვალად აღუნული იყო. ქუჩების გასწვრივ მთელ სიგრძეზე ვარდი ყვაოდა, და ჯოვანინოს აბა რა გული მოუთმენდა ერთი მაინც არ მოეწყვიტა და გულის ჯიბეში არ ჩაებნია. ისიც კარგად იცოდა, უეკლო ვარდი რომ არ არის, და სანამ წაეტანებოდა, ათი თვალი გამოიბა, ხელები არ დავიგაზოო. მაგრამ ტყუილი სიფხიზლე გამოუვიდა – არაფერი არ შეერჭო და არც ეჩხვლიტა. ან რა უნდა შერჭობოდა, ან რას უნდა ეჩხვლიტა, როცა არც ერთ ეკალს წვერი არა ჰქონდა. გეგონება, რეზინის ნემსებიაო, თითებში ულიტინებდნენ. – საკვირველი ამბავია! – ხმამაღლა თქვა ჯოვანინომ. ამის თქმა იყო, და ვარდებიდან პირმცინარე ყარაულმა ამოყო თავი. – ალბათ არ იცოდით, ვარდის მოწყვეტა რომ აკრძალულია, არა? – ჰკითხა მან ჯოვანინოს. – მართალი გითხრათ, მაგაზე არც მიფიქრია. ძალიან ვწუხვარ, – უპასუხა ბიჭმა.

– თუ ეგრეა, მაშ მხოლოდ ნახევარ ჯარიმას გადაიხდით, – უთხრა ყარაულმა და თან სახე ისე გაებადრა, ნამდვილად იტყოდი, პინოქიო რომ სათამაშოების ქვეყანაში წაიყვანა, ის არის, ის ოქროპირი კაციაო. ყარაულმა წიგნაკი მოიმარჯვა, ქვითრის გამოწერას შეუდგა. და ჯოვანინომ თვალებს არ დაუჯერა – ქვითარს ის ყარაული წაუთლელი ფანქრით წერდა, სრულიად წვერწაუთლელი ფანქრით! – ეჰე! – თავისდა უნებურად შესძახა ჯოვანინომ. – ბოდიში, ხმალს ხომ არ მაჩვენებთ? – დიდი სიამოვნებით, – უთხრა ყარაულმა. ისიც თუ ხმალი იყო, მაშ მართლა ხმალი რაღაა! არც ფხა ჰქონდა, არც წვეტი! – მაინც რა ქვეყანაა ამისთანა? – ჰკითხა ჯოვანინომ. – უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანას ეძახიან, – უპასუხა ყარაულმა. თანაც ისეთი მოწიწებით წარმოთქვა ყოველი სიტყვა, თითქოს სული უნდა შთაბეროს ამ სიტყვებს და გააცოცხლოსო. – მაშ, აბა ლურსმანს რანაირად ხმარობთ? – არც რანაირად. ჩვენში უკვე დიდი ხანია ლურსმანი წებოთი შევცვალეთ. ახლა კი ნუ მომერიდებით და ორჯერ გამაწანით სილა. ჯოვანინომ იმხელა პირი დააღო, გალავნიან ციხე-კოშკს გადაყლაპავდა. – რასა ბრძანებთ, – წაიბუტბუტა ჯოვანინომ. – ოფიციალური პირის შეურაცხყოფას, ისიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არავინ მაპატიებს. ძალით რატომ ჩავიგდო ციხეში თავი! თანაც, სილის გაწვნაზე თუ მიდგა საქმე, მე უფრო მეკუთვნის, რომ გამაწნათ. – არა, აქ წესად გვაქვს შემოღებული, – თავაზიანად აუხსნა ყარაულმა. – მთელი ჯარიმა ოთხი სილაა, ნახევარი ორი. – ყარაული ჯარიმდება? – ყარაულიც. – არა, ეგ რა სამართალია! რა წესია! – ნამდვილად, უსამართლობაა, – კვერი დაუკრა ყარაულმა. – ჩვენებს იმდენად სძულთ ეს წეს-ჩვეულება, იმდენად უჭირთ და უმძიმთ უდანაშაულო ადამიანისათვის სახეში ხელის შემორტყმა, რომ სულ იმის ფიქრში არიან, კანონი არაფერში არ დავარღვიოთო. აი ახლა ორჯერ რომ გამკრავთ სილას, სხვა დროს უფრო მეტად იფრთხილებთ. – არ მინდა და არც გაგკრავთ! თითსაც არ დაგაკარებთ! მოფერებით კი მოგეფერებით... – რა ვქნა, მაგ პირობით ჩვენს ქვეყანაში ვერ დაგტოვებთ, არ შემიძლია, – ჩაილაპარაკა ყარაულმა. მეტი რა გზა ჰქონდა, ჯოვანინომაც დააგდო ის უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანა. თუმცა დღემდე ისევ იმის ოცნებაშია, ნეტავი კიდევ იქ დამაბრუნა, სადმე ერთი კვერცხივით კოხტა სახლი ამაშენებინა და ცოტა ხანს მაინც მაცხოვრა მთელ დედამიწის ზურგზე იმ მართლაც ყველაზე ზრდილობიან ხალხშიო.

1) მას შემდეგ, რაც ჯოვანინომ ვარდი მოწყვიტა და ნახა, რომ უეკლო იყო, მან იფიქრა:




მოიძიეთ ტექსტში ინფორმაცია, რომელიც ჯოვანინოს ამგვარი ფიქრის საფუძველს მისცემდა. ამ ინფორმაციის გამოყენებით თქვენი სიტყვებით გადმოეცით, რატომ ფიქრობდა ბიჭი ასე.

......................................................................................................................................

......................................................................................................................................

......................................................................................................................................

2) ყარაული დაჟინებით მოითხოვს ჯოვანინოსაგან, რომ ორი სილა გააწნას, ბიჭმაც ბოლოს და ბოლოს იფიქრა:




თქვენი აზრით, ბიჭის ამ გადაწყვეტილებას პასუხად რა მოჰყვებოდა. თქვენი პოზიციის გასამყარებლად მოიშველიეთ ტექსტიდან სათანადო დეტალები.

......................................................................................................................................

......................................................................................................................................

......................................................................................................................................

## 4. შეფასების საგანი წარმოდგენილი დავალებისთვის

საგაზეთო სტატიის ფარგლებში შეუძლებელია საანალიზო ტექსტთან დაკავშირებით შესამუშავებელ დავალებათა სრულყოფილად წარმოდგენა. შემოთავაზებული დავალებები თვალსაჩინოებაა სტატიის პირველ ნაწილში მოცემული მეთოდოლოგიური საფუძვლებისათვის; მესამე თავში კი მოკლედ განვსაზღვრავთ იმ დეტალებს, რომელთა არსებობასაც მოსწავლეთა პასუხებში უნდა ველოდოთ და რის მიხედვითაც მათი ნამუშევრები უნდა შევაფასოთ. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ დავალებების წინასწარ გამზადებული სახით მიღების არანაირი აუცილებლობა პედაგოგს არ აქვს. მან ტექსტი თავად ყურადღებით უნდა წაიკითხოს, მოინიშნოს მასში ის ინფორმაცია, რომლის გაგება მოსწავლის მხრიდან ამა თუ იმ ლიტერატურული კომპეტენციის ქონას მოითხოვს და ტექსტის ამ დეტალებთან დაკავშირებით შეიმუშაოს კითხვები.

*დავალება 1.* მოსწავლეს მოეთხოვება როგორც ტექსტში წარმოდგენილი სხვადასხვა დეტალის ერთმანეთთან დაკავშირება, ისე ლიტერატურული კომპეტენციის მნიშვნელოვანი ასპექტის – სიმბოლოთა დეკოდირების – უნარის ქონა. ჯოვანინოს ფიქრს საფუძველი რომ მოუძებნოს, მოსწავლემ რამდენიმე გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება:

– რაკი ტექსტში ვარდი უეკლოა და მისი მოწყვეტა ადამიანს ტკივილს არ აყენებს, სავარაუდოდ, სხვა საგნები და მოვლენებიც ასევე უსაფრთხო იქნება.

– ტექსტის დასაწყისში წერია, რომ ჯოვანინო უცნაურ ქვეყანას მიადგა, აქედან გამომდინარე, საგნები და მოვლენები ტექსტში განსხვავებული მნიშვნელობით უნდა იყოს წარმოდგენილი.

– მოსწავლემ ლიტერატურული ტექსტების კითხვასთან დაკავშირებული აპრიორული მოლოდინი უნდა გაააქტიუროს – ლიტერატურულ ტექსტში საგნებსა და მოვლენებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. ნაწარმოებს „უკუთხო ქვეყანა“ ჰქვია; გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ მხოლოდ მრგვალი სახლები იდგა. თუ მოსწავლე კუთხოვანებასთან დაკავშირებულ ასოციაციას გაითვალისწინებს (ის, რომ კუთხოვანება/მასთან დაჯახება ხშირად ტკივილს იწვევს), მისთვის ჯოვანინოს მოლოდინი გასაგები გახდება – რაკი ეს ქვეყანა უკუთხოა, ესე იგი, ადამიანები უდარდელად და უმტკივნეულოდ ცხოვრობენ.

*დავალება 2.* სათანადო პასუხის გასაცემად მოსწავლემ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ დაზარალებულისათვის სილის გაწნას *უცნაურ ქვეყანაში* აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს, მან დამნაშავეს სინდისის ქენჯნა უნდა აგრძნობინოს, ხოლო თუ ეს ასე არ მოხდება, ამით კიდევ ერთ დანაშაულს ჩაიდენს, რასაც, სავარაუდოდ, უფრო დიდი სასჯელი მოჰყვება. *უცნაური ქვეყნის* სამართლის პრინციპების გათვალისწინებით, მოსწავლემ დამნაშავე უნდა დააჯილდოვოს და ამასთან „სასჯელის“ სიმძიმეს ხაზი გაუსვას.

**ქართველი სტუდენტები უცხოეთში**



# ქართველი ახალგაზრდები არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული სახელმწიფოზე, ვეცადოთ შევქმნათ პერსპექტივა იმ რესურსით, რაც გაგვაჩნია

**რუბრიკის სტუმარია მიხეილ სარჯველაძე, კიოლნის უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველოს ახალგაზრდა ელჩი გერმანიაში**

**– მიშა, შენი მოსწავლეობის პერიოდში, 90-იან წლებში, საქართველოში საკმაოდ რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო. სწავლობდი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საშუალო სკოლაში. როგორ გახსენდება იქ გატარებული წლები, შენი მასწავლებლები, გქონდა თუ არა სათანადო პირობები იმისთვის, რომ წარჩინებული მოსწავლე ყოფილიყავი და განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი მომავალი?**

– გეთანხმებით, სკოლაში გატარებული პერიოდი მართლაც უამრავი პრობლემით იყო დატვირთული. მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან კარგად მახსენდება. იყო შემთხვევები, როცა ზამთარში, მინის ნაცვლად, საკლასო ოთახის ფანჯრებზე „ცელოფანი“ იყო აკრული. ასევე, მე და ჩემი კლასელები ტყეშიც წავსულვართ შეშის მოსაჭრელად გაკვეთილების დროს, რომ ცივ ოთახში არ გავყინულიყავით. როგორც ამბობენ: „რაც არ გკლავს, ის უფრო გაძლიერებს“. მიუხედავად რთული პირობებისა მასწავლებლები მაქსიმალურად გვეხმარებოდნენ და ხელს გვიწყობდნენ განვითარებაში. ჩემს პროფესიულ არჩევანს რაც შეეხება, მასზე განსაკუთრებული გავლენა ისტორიის და გერმანული ენის მასწავლებლებმა – **სანდრო დარჩიამ** და **მარინა მორჩილაძემ** – იქონიეს, რისთვისაც, თქვენი გაზეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას ვუხდი.

**– სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გერმანისტიკის ფაკულტეტზე გააგრძელე...**

– დიახ, სწავლა თსუ-ს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე გავაგრძელე, გერმანული ენისა და ლიტერატურის განხრით. ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც მივხვდი, რომ გერმანისტიკა არ მიეკუთვნებოდა ჩემი ინტერესების სფეროს. მიუხედავად ამისა, შეძლებისდაგვარად, ვისწავლე გერმანული და 2006 წელს გავხდი გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) სტიპენდიანტი საზაფხულო ენის კურსის ფარგლებში. იმ ერთმა თვემ, რომელიც გერმანიაში, დუისბურგ-ესენის უნივერსიტეტში გავატარე, რადიკალურად შეცვალა ჩემი სამომავლო გეგმები – გადავწყვიტე აუცილებლად მესწავლა გერმანიაში იმ განხრით, რაც მაინტერესებდა, კერძოდ – პოლიტიკა და ისტორია. მახსოვს, ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საუნივერსიტეტო გარემომ, განსაკუთრებით – ბიბლიოთეკებმა. კიდევ კარგი, თსუ-ში სწავლის პერიოდში, გვყავდა რამდენიმე საინტერესო ლექტორი, რომლებიც ინოვაციური, და არა მოძველებული საბჭოთა, მეთოდებით გვასწავლიდნენ. მხოლოდ ამ ფაქტორის გამო დავასრულე ბაკალავრიატი. მინდა აღვნიშნო, რომ განათლების საბჭოური სისტემის გავლენა, ინერციით, მაშინ ჯერ კიდევ დიდი იყო, განსაკუთრებით, როცა საქმე სტუდენტის დამოუკიდებლად აზროვნებას და, ზოგადად, გარემოსადმი კრიტიკულ პოზიციას ეხებოდა.

– **შემდეგ სწავლა გერმანიაში, გისენის უნივერსიტეტში გააგრძელე. რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული უნივერსიტეტში მოხვედრა, რა გზა გაიარე საქართველოდან გერმანიამდე?**

– რაკი გერმანულ უნივერსიტეტში სწავლისთვის გერმანული ენა სათანადო დონეზე არ ვიცოდი, გადავწყვიტე, ჯერ ენა მესწავლა და გერმანიას ე.წ. au-pair-პროგრამით დავუბრუნდი. ეს პროგრამა გერმანულ ოჯახში ცხოვრებას და, ოჯახის წევრების სამსახურში ყოფნის პერიოდში, ბავშვებზე ზრუნვას ითვალისწინებს. ძალიან მიხარია, რომ არ გავხდი მაშინდელი წარმოდგენების „მსხვერპლი“ (მსგავსი საქმიანობა ხომ ქართველი ბიჭისთვის სათაკილოა). ჩემი მიზნის მისაღწევად ენერგია არ დავიშურე. ენის ინტენსიური კურსის გავლის შემდეგ, სწავლა გისენის უნივერსიტეტში სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე დავიწყე, თუმცა ორი სემესტრის შემდეგ, იენის უნივერსიტეტის სტიპენდია მივიღე და სწავლა მასტერ-პროგრამაზე - *„მეოცე საუკუნის პოლიტიკა და ისტორია“* გავაგრძელე.

**– ამ პროგრამის ფარგლებში, მასტერ-თეზისის თემად აირჩიე „პირველი ქართული რესპუბლიკა: არშემდგარი სახელმწიფო თუ საბჭოთა აგრესიის მსხვერპლი?“ ორიოდე სიტყვით გვესაუბრე ამ თემის შესახებ**

– მასტერ-პროგრამა *„მეოცე საუკუნის პოლიტიკა და ისტორია“* მსგავსი მიმართულების ერთადერთი ინტერდისციპლინარული პროგრამაა გერმანიის მასშტაბით. განსაკუთრებით გამიმართლა და, რუმინელ კოლეგასთან ერთად, ორი უცხოელი სტუდენტისთვის გამოყოფილი სტიპენდია მივიღე. იენის უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტია, სადაც, ასევე გერმანიის მასშტაბით, კავკასიოლოგიის ერთადერთი კათედრა არსებობს. მასტერზე სწავლის პერიოდში, განსაკუთრებით ისტორიის მოდულის ფარგლებში, აღმოსავლეთ ევროპის ისტორიისა და პოლიტიკის განხრით, ევროკავშირით დავინტერესდი. საბოლოოდ, მასტერ-თეზისის თემად პირველი ქართული რესპუბლიკა ავირჩიე. სამწუხაროდ, საქართველოში ეს პერიოდი, როგორც წესი, ძირითადად, ყოველი წლის თებერვალში ახსენდებათ, ისევე როგორც კოლაუ ნადირაძის ცნობილი ლექსი. არადა, დამოუკიდებლობის სამი წელიწადი – 1918-1921 წლები – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია საქართველოს ისტორიაში. ფაქტია, რომ რამდენიმესაუკუნოვანი არასახელმწიფოებრიობის შემდეგ, შეიქმნა პირველი ქართული რესპუბლიკა, რომლის კონსტიტუცია გაცილებით დემოკრატიული იყო, ვიდრე ბევრი ევროპული ქვეყნის. ეს იყო სახელმწიფო, რომელსაც ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრიობა დიდწილად ეყრდნობა და რომლის ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციას ქართველი ხალხისთვის ფატალური პროცესები მოჰყვა. სხვათა შორის, არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ წითელი არმიის შეტევას თბილისზე პირადად სტალინი ხელმძღვანელობდა (დისტანციურად) და შესაბამისად, ჩემთვის პარადოქსია – ამაყობდე სტალინით (სტალინიზმის პერიოდის რეპრესიებზე აღარაფერს ვამბობ) და გიყვარდეს საკუთარი ქვეყანა. საერთოდ, სირცხვილია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს სტალინის მუზეუმი ან მისი სახელობის ქუჩა. როცა დაივიწყებ წარსულს, არ გექნება მომავალი. გერმანია საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ აუცილებელია წარსულის გააზრება და მისი გაანალიზება, უკეთესი მომავალი რომ შექმნა.

**– ამჟამად კიოლნის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის (a.r.t.e.s. Graduate School for the Humanities Cologne) დოქტორანტი და კონრად ადენაუერის ფონდის სტიპენდიანტი ხარ. თავის დროზე, მოპოვებული გაქვს სხვადასხვა სტიპენდიები: DAAD-ს სტიპენდია იენის უნივერსიტეტში, გერმანიის ბუნდესტაგის საერთაშორისო საპარლამენტო პროგრამის სტიპენდია. რა სახით გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის და რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები?**

– კონრად ადენაუერის ფონდი ყველაზე დიდი გერმანული პოლიტიკური ფონდია, რომლის სამხრეთ კავკასიის ბიურო თბილისშია. ტრანსფორმაციის პროცესის ფარგლებში, რამდენიმე წელია, ფონდი აქტიურად ახორციელებს ქვეყნისთვის ძალიან საჭირო პროექტებს. საერთოდ, გერმანია არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით, საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი და მხარდამჭერია, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია გერმანიის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკის გაანალიზება სამომავლო პერსპექტივების უკეთ გამოყენების მიზნით. ლოგიკურია, რომ სტიპენდია საუკეთესო წინაპირობაა კარგად სწავლისთვის, რადგან ასეთ დროს არ გიწევს, სწავლის პარალელურად, მუშაობა და მთლიანად სწავლაზე ხარ კონცენტრირებული. პრივილეგიაა, რომ იცნობ ბევრ საინტერესო ადამიანს, ამყარებ სამომავლოდ მნიშვნელოვან კონტაქტებს, ესწრები უამრავ საინტერესო სემინარს, კონფერენციას და გაცილებით მეტი დრო გაქვს სწავლის პარალელურად ანგაჟირებისთვის. ჩემი, როგორც ახალგაზრდა ელჩის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, დავეხმარო ქართველ ახალგაზრდებს გერმანიაში სტიპენდიებზე ინფორმაციის მიღებაში. გერმანულ უნივერსიტეტებში ძალიან კარგი განათლების მიღებაა შესაძლებელი. საქართველოს კი, ამ ეტაპზე, პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა პროფესიონალებზე მეტად არაფერი სჭირდება. სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობა ის კი არაა, ამ ხალხს სამუშაო ადგილები შესთავაზოს, არამედ მისი ვალია, შექმნას პირობები მათ დასაბრუნებლად.

**– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით? რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ მასწავლებლების შესახებ, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?**

–პირველ რიგში, უპირატესობა, სწავლების ხარისხსა და საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურაში გამოიხატება. აუდიტორიების, ბიბლიოთეკების თუ კომპიუტერული ცენტრების აღჭურვილობა ყველა წინაპირობას ქმნის სწავლაზე კონცენტრირებისთვის. ასევე ის თავისუფალი დიალოგის ატმოსფერო, რომელიც, საქართველოსგან განსხვავებით, აქაურ სემინარებსა თუ ლექციებზე ყოფნისას მომხვდა თვალში. ამ მხრივ, ჩემი სტუდენტობის შემდეგ, საბედნიეროდ, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებშიც ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ, ზოგადად, განსხვავება ის არის, რომ აქ, ლექციებზე, პროფესორი აღგიქვამს, როგორც თანასწორს, ისე შემოდის შენთან დისკუსიაში, თითქოს ისიც ერთ-ერთი ჩვეულებრივი სტუდენტი იყოს. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ყველა უნივერსიტეტშია შექმნილი სწავლის პირობები მხედველობა და მოძრაობაშეზღუდული სტუდენტებისთვის, რაც საქართველოში, რამდენადაც ვიცი, დიდი პრობლემაა. შესაბამისად, ამ მხრივ, აუცილებელია არა მარტო უნივერსიტეტების, არამედ სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება.

**– რა როლი უჭირავს გერმანიაში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?**

– განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები. მაგალითად, კიოლნის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რომელიმე წიგნის არარსებობის შემთხვევაში (როგორც წესი, ახალი), შეგიძლია უნივერსიტეტს შესთავაზო, შეიძინოს ეს წიგნი. რამდენიმე დღის შემდეგ ის უკვე ბიბლიოთეკაში დევს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული. თუმცა, როგორც აღვნიშნე, გერმანიაში განათლება პრიორიტეტული სფეროა და გარდა სახელმწიფოს სოციალური ასპექტებისა (სტუდენტებისთვის, ფინანსურად სუსტი ოჯახებიდან, უპროცენტო სესხი, სოციალური დახმარება, ცალკეულ შემთხვევებში), უნივერსიტეტებს აქვთ მსგავსი ფუფუნების საშუალება. აღარაფერს ვამბობ ელექტრონულ საძიებო სისტემებზე ან წიგნების სხვა ბიბლიოთეკებიდან მიღების შესაძლებლობაზე, ამ გზით სტუდენტს ნებისმიერი წიგნის თუ ინფორმაციის მოპოვება შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაუსვლელად.

– **პროექტის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ თანახმად, აგირჩიეს საქართველოს ახალგაზრდა ელჩად გერმანიაში. რა არის პროექტის მთავარი მიზანი, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ინიციატივის განხორციელება და შენ რა გეგმები გაქვს?**

– ახალგაზრდა ელჩის პროგრამა, რომელიც სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ინიციატივით დაიწყო, ჩემი აზრით, ძალიან დროული და საჭირო ინიციატივაა. მიხარია, რომ სახელმწიფო აქტიურად დაინტერესდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ახალგაზრდებით, რომლებიც ქვეყნისთვის უდავოდ დიდ პოტენციალს წარმოადგენენ. პროექტის მიზანია, საქართველოს შესახებ ინფორმაციის მიწოდება უცხოელი და უცხოეთში მყოფი ქართველი ახალგაზრდებისთვის. ასევე, საქართველოს პოპულარიზაცია და საქართველოს უცხოელ მეგობართა ქსელის შექმნა. ახალგაზრდა ელჩი იქნება ის დამაკავშირებელი ხიდი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ამ ახალგაზრდებს საქართველოში დაბრუნების პერსპექტივებს შესთავაზებს. საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება, უარი თქვას კვალიფიციურ კადრებზე, რომელთა გადინება ქვეყნიდან სისტემატურად ხდებოდა და ხდება. გარდა ამისა, აუცილებელია, ევროინტეგრაციის პროცესში, ევროკავშირის ქვეყნებში მოხდეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს წარმოჩენა, მის შესახებ სისტემატურად ინფორმაციის მიწოდება და ახალგაზრდების დაინტერესება ჩვენი ქვეყნით. შესაბამისად, ჩემს გეგმებში, უპირველეს ყოვლისა, შედის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. მაგალითად, საქართველოს დღეები გერმანიის დიდ უნივერსიტეტებსა თუ ქალაქებში. ვაპირებ, აქტიურად ვითანამშრომლო ქართულ სათვისტომოებთან და შევქმნა ქართველი სტუდენტების გაერთიანება გერმანიის მასშტაბით, ეს პროცესი უკვე დაწყებულია. დაგეგმილია შეხვედრები გერმანიაში მყოფ ქართველ მწერლებთან, მუსიკოსებთან, მეცნიერებთან. გერმანიის სამ – ჰაიდელბერგის, ბონის, იენის – უნივერსიტეტში, ახალგაზრდა ელჩის პროექტის ფარგლებში, უკვე დაარსდა ქართველ სტუდენტთა გაერთიანებები, რომლებსაც მალე სხვა ქალაქებიც დაემატება. მსგავსი გაერთიანება კიოლნში, „აისის“ სახით, ერთი წელია წარმატებით ფუნქციონირებს. ეს გაერთიანებები აპრილიდან აქტიურად განახორციელებენ პროექტებს მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკის, სპორტის სფეროებში. საშემოდგომოდ ისინი გაერთიანდებიან ერთი ქოლგის ქვეშ და შეიქმნება ქართველ სტუდენტთა პირველი გაერთიანება გერმანიაში. მსგავსი გაერთიანების არსებობა აუცილებელია, ქართველ სტუდენტთა ინტერესების წარმოჩენისა და დაცვის მიზნით.

– **რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ?**

– პირველ რიგში, ქართველ ახალგაზრდებს ვურჩევ, მაქსიმალურად ეცადონ, თუ მთელი პროგრამა არა, ერთი სემესტრი მაინც გაატარონ სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში. ასეთ დროს ადამიანი არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ საკუთარ ქვეყანასაც სხვა პერსპექტივიდან ხედავს, რაც ძალიან საჭიროა ორივეს შესაცნობად. ამისთვის პირველი ნაბიჯი იქნება ცალკეულ უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამების, სტიპენდიების შესახებ ინფორმაციის მიღება და პრიორიტეტების დასახვა. მიზნის მისაღწევად მთავარია კარგად ინფორმირებულობა, მიზანდასახულობა და ბრძოლისუნარიანობა. არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ყველაფერი მაინც კარგად იქნება, მომავალი მაინც გაბრწყინდება და ვიღაც დაგვეხმარება. პირიქით, უნდა ვიყოთ პრაგმატულები და მაქსიმალურად დამოუკიდებლები, მით უმეტეს, რომ 70-წლიანი ტოტალიტარიზმის შემდეგ ინდივიდუალიზმის პრობლემა გვაქვს. ძალიან კარგად ვიცი, რომ საზღვარგარეთ სწავლა ფინანსებთანაა დაკავშირებული და ვინც მუშაობს, ისე იღლება, რომ კარგად სწავლას ხშირად ვერ ახერხებს. თუმცა შეუძლებელი არაფერია, მით უმეტეს გერმანიაში, მიზნის მისაღწევად მსგავსი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. თეფშების მრეცხავადაც მიმუშავია, წიგნის მაღაზიაშიც და მტვირთავადაც, თუმცა, მთავარია, თვალთახედვის არედან არ დაკარგო მთავარი მიზანი, რისთვისაც აკეთებ ამ ყველაფერს.

## ქართველი სტუდენტები უცხოეთში

შესაბამისად, საჭიროა მეტი სტიპენდია, არა მხოლოდ უცხოური ფონდების თუ ორგანიზაციების, არამედ ქართული ბიზნესის მხრიდანაც, თუკი არიან დაინტერესებულები, სამომავლოდ კვალიფიციური კადრები ჰყავდეთ.

**– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? როგორ ცხოვრობენ გერმანელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული?**

– თავისუფალ დროს ადრე უფრო გართობას ვუთმობდი. ბოლო ორი წელია პრიორიტეტები შევიცვალე და, სადოქტოროს პარალელურად, მოგზაურობით, სპორტით და მოხალისეობით ვარ დაკავებული. აქტიურად ვარ ჩართული კიოლნის უნივერსიტეტში ჩვენ მიერ შექმნილი ქართული სტუდენტური გაერთიანების „აისი" საქმიანობაში, რომლის ფარგლებშიც ბევრ საინტერესო პროექტს ვუწევთ ორგანიზებას. ასევე, კონრად ადენაუერის ფონდის ფარგლებში, ორი გერმანელი მოსწავლის, რომლებიც მიგრანტების და სოციალურად სუსტი ოჯახებიდან არიან „სტუდენტი-ნათლია" ვარ და ვეხმარები უნივერსიტეტში სწავლის შესახებ ინფორმაციის მიღებაში. გერმანიაში სტუდენტებისთვის პრიორიტეტული, რა თქმა უნდა, განათლებაა, რადგან იციან, რომ განათლების და კვალიფიკაციის დონეზეა დამოკიდებული მათი სამომავლო კარიერა. ზოგადად კი, ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობენ – დღისით ან მუშაობენ, ან სწავლობენ, საღამოს ერთობიან. გართობასთან ერთად არ ივიწყებენ ცხოვრების ჯანსაღ წესს და აქტიურად მისდევენ სპორტს. ამ მხრივ, გერმანული უნივერსიტეტები მართლაც გამორჩეულია. მინიმალური გადასახადის სანაცვლოდ, შეგვიძლია აქტიურად ჩავერთოთ მრავალი სახეობის სპორტულ კურსებში. ასევე განსაკუთრებულად პრივილეგირებულები ვართ, როცა საქმე კინოში, თეატრში, მუზეუმებში წასვლას ეხება – სტუდენტები როგორც წესი, თითქმის 50-პროცენტიანი ფასდაკლებით სარგებლობენ. შესაბამისად, გერმანელი სტუდენტები აქტიური კულტურული ცხოვრებით ცხოვრობენ და, სწავლის პარალელურად, სხვადასხვა გაერთიანებებში არიან გაწევრიანებული, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას, უმეტეს შემთხვევაში, ანაზღაურების გარეშე ეწევიან.

**– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?**

– სამომავლოდ ვაპირებ დავბრუნდე საქართველოში და გერმანიაში მიღებული განათლება არა მხოლოდ საკუთარ კარიერას მოვახმარო, არამედ გამოვიყენო იმ პროცესებში, რომლებიც, საქართველოს ტრანსფორმაციის ფარგლებში, პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან ევროპული ოჯახის წევრ საქართველომდე მიმდინარეობს. ქართველი ახალგაზრდები არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული სახელმწიფოზე. თავად უნდა ვეცადოთ შევქმნათ პერსპექტივა იმ რესურსით, რომელიც გაგვაჩნია. ამისთვის აუცილებელია თვალსაწიერის გაფართოება, სხვა ქვეყნებში სწავლა, კონტაქტების დამყარება. მე, როგორც საქართველოს ახალგაზრდა ელჩი, მაქსიმალურად ვეცდები, დავეხმარო ქართველ ახალგაზრდებს მიიღონ მაქსიმალურად ბევრი სტიპენდია, გააკეთონ მაქსიმალურად ბევრი სტაჟირება ქართულ თუ გერმანულ ფირმებში და მიიღონ გამოცდილება, რაც საბოლოოდ არა მხოლოდ მათ, არამედ საქართველოს წაადგება. პირადად მე, საკუთარი მომავალი საუნივერსიტეტო სფეროში წარმომიდგენია, თუმცა წინასწარ მაინც მიჭირს თქმა, რა იქნება ორი ან სამი წლის შემდეგ, რადგან ამ ეტაპზე სადოქტოროზე ვმუშაობ და ახალგაზრდა ელჩის ინიციატივით ვარ დაკავებული.

**– დაბოლოს, როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რაც გერმანიაში გატარებულმა პერიოდმა მოგცა?**

– ბოლოდან დავიწყებ. ყველაზე ღირებული, რაც გერმანიამ მომცა, ჩემი დამოუკიდებლობა და პიროვნული თავისუფლებაა. გარდა იმისა, რომ გერმანიამ მომცა მასტერის დასრულებისა და სადოქტორო პროგრამის დაწყების საშუალება, უმთავრესია ის ღირებულებები, რომლებიც აქ სწავლის თუ ცხოვრების შედეგად შევიძინე.

რაც შეეხება ევროპის მიერ საქართველოს მიღებას, რა თქმა უნდა, მოგვიწევს ბევრი რამის, პირველ რიგში კი, საკუთარი თავის შეცვლა, რადგან გვინდა გავხდეთ იმ ოჯახის წევრი, რომელშიც 50 წელზე მეტია ომი არ ყოფილა და, გარდა ადამიანთა უფლებების დაცვისა, მსოფლიოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ეკონომიკური კეთილდღეობაა. საბჭოთა პერიოდმა ძალიან დიდი დაღი დაასვა არა მხოლოდ იმ ადამიანებს, ვინც სოციალიზაცია საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებამდე გაიარეს, არამედ ჩვენც, ვინც (მეტ-ნაკლებად) დამოუკიდებელ ქვეყანაში გავიზარდეთ. თუ გადავხედავთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომელთა სათავეში დღემდე ყოფილი კომუნისტური ელიტები დარჩნენ, ვერ დამისახელებთ ვერც ერთ მათგანს, რომელმაც დემოკრატიზაციის კუთხით წარმატებას მიაღწია. მათგან განსხვავებით საქართველომ ძალიან დიდი პროგრესი განიცადა, თუმცა, თუ ცვლილებები არ მოხდება ჩვენს ცნობიერებაში, შედეგი არ იქნება. რაც მთავარია, უნდა გავიაზროთ ერთი რამ – სახელმწიფო ვერასდროს შედგება და ვერ იქნება ხალხისთვის, თუ ის არ არის სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც მთავარი კანონის უზენაესობის (დემოკრატიულ სისტემას ვგულისხმობ) დაცვაა. ზოგადად, საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია ნორმალური პროცესია. იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა, უფრო მეტ წარმატებას მივაღწიოთ დემოკრატიზაციისა თუ ეკონომიკური კეთილდღეობის მხრივ, ევროპის გარდა ალტერნატივა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კულტურულად, დიდწილად, ევროპის ნაწილია, ევროპა ჩვენთვის, პირველ რიგში, პრაგმატული, პოლიტიკური არჩევანია, რომელზე უარის თქმის უფლება არ გვაქვს. სხვა შემთხვევაში, აქტუალური საფრთხის გათვალისწინებით და ისტორიული გამოცდილებით, ამჟამინდელი ქართული სახელმწიფო არსებობას უფრო ცუდად დაასრულებს, ვიდრე 1921 წელს.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

## ინფორმაცია

# ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დღე







ანა ფირცხალაიშვილი

ასეთი სასიამოვნო და მოულოდნელი ამბავი კარგა ხანია არ მსმენია – სასულიერო პირი, თანამოაზრეებთან, რიგით მოქალაქეებთან ერთად, აარსებს არასამთავრობო ორგანიზაციას „პირველი ევროპული". დასახელებაც როგორი შთამბეჭდავია?! თანამედროვე და აქტუალური. მოქმედების ადგილი დმანისია, სასულიერო პირი – დედათა მონასტრის იღუმენი **დიონისე გვიმრაძე**, ხოლო თანამოაზრეები – მონასტრის მრევლი, ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ ერთმანეთის, ზოგადად, თანამოქალაქეების დახმარების სურვილმა გააერთიანა.

ორგანიზაცია ახალი დაარსებულია და მისი საქმიანობის შესახებ საუბარი ნაადრევიცაა, ამიტომ მომავლისთვის გადავდოთ. ახლა მისი ინიციატივით მოწყობილ ერთ ღონისძიებაზე გიამბობთ, სადაც, კერძო სკოლა „პეგასის" პედაგოგის **როლანდ ჩხეიძის** წყალობით მოვხვდი. *„მამა დიონისეს წლებია, ვიცნობ, ისიც ჟურნალ „კარიბჭესთან" თანამშრომლობს. საინტერესო ადამიანია, ხშირად ვსაუბრობთ არა მხოლოდ თეოლოგიურ საკითხებზე. ეს იდეაც ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს გაჩნდა – დავხმარებოდით დმანისელ მოსწავლეებს ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებში უკეთ გარკვევაში"* – გვითხრა ბატონმა როლანდმა.

ბუნებრივია, იდეის იმ ფორმით განხორციელებაში, როგორც ეს პედაგოგმა და სულიერმა მოძღვარმა მოიფიქრეს, გადამწყვეტი „პეგასის" დირექციის პოზიცია იყო. საბედნიეროდ, ბატონმა **დემურ ავალიანმა** და მისმა მოადგილემ, ქალბატონმა **რუსუდან ტაბიძემ** უყოყმანოდ მიიღეს გადაწყვეტილება, შაბათობით სკოლა დმანისელი მოსწავლეებისათვის დაეთმოთ და აი, 14 მარტს ისინი მეორედ ესტუმრნენ დედაქალაქს, ამჯერადაც „პირველი ევროპულის" მხარდაჭერით. დმანისის №1, №3, სოფელ ბოსლებისა და მიჯას უფროსკლასელები ერთ-ერთ საკლასო ოთახში შეიკრიბნენ. ბატონი როლანდი მათ, ამჯერად, ესეს როგორც ლიტერატურული ჟანრის შესახებ ესაუბრა, მოკლე ისტორიული ექსკურსის და ესესთვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნების ხაზგასმის შემდეგ, მოსწავლეებმა თემაც დაწერეს. რამდენიმე მათგანმა წაუკითხა კიდეც აუდიტორიას საკუთარი ნააზრევი, რასაც მსჯელობა მოჰყვა. როცა გაირკვა, რომ მათ კიდევ ერთხელ სურთ უნარებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის მიღება, მასწავლებელმა რამდენიმე თემა საშინაო დავალებად მისცა.

ასე დასრულდა ეს დღე. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, მაგრამ მაინც გამორჩეული მასში მონაწილე თითოეული ადამიანით – მოძღვარი, რომელსაც მოყვასზე ზრუნვა თავის უპირველეს ვალად მიაჩნია, პედაგოგი, რომელიც იზიარებს და საქმით, სრულიად უანგაროდ უერთდება ამ იდეას და სკოლის დირექტორი, მოადგილესთან ერთად, რომლებმაც ასე უყოყმანოდ გაიზიარეს ეს ვალდებულება.

ვფიქრობ, კარგი მაგალითია მათთვის, ვისაც სურვილი გაუჩნდება მსგავსი დახმარება გაუწიოს საზღვრისპირა რეგიონების თუ სხვა საჭიროებების მქონე სოფლების ახალგაზრდებს. მთავარი მონდომება და სურვილია, დახმარებისა და თანადგომის სურვილი.

**ანი ჩხეტიანის** ფოტოები







# თქვენ მარტო არ ხართ








გაზაფხულის სადღესასწაულო დღეებში მარნეულის №6 საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სტარტი აიღო საქველმოქმედო აქციამ „თქვენ მარტო არ ხართ“. აქციის მიზანი იყო დახმარება გაეწიათ მარტოხელა ხანდაზმული ქალბატონებისათვის, ეგრძნობინებინათ მათთვის, რომ არ არიან დავიწყებული და მიტოვებულები. კვირის დასაწყისში მოსწავლეებმა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოაწყვეს. შემოსული თანხით მოწვეული სტუმრებისათვის საჩუქრები შეიძინეს. აქცია დასრულდა ქალბატონების კონცერტზე მოწვევით, რომელიც მოსწავლეების ძალებით ჩატარდა. პატარებისაგან წარმოთქმული თითოეული თბილი სიტყვა, ლექსი, სიმღერა თუ ცეკვა მათ ეძღვნებოდა.

დასასრულს აცრემლებულმა ქალბატონებმა საჩუქრად სასურსათო ნაკრები და ყვავილები მიიღეს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიების განსაკუთრებულობა ის იყო, რომ ყველაფერი თავად მოსწავლეებმა მოამზადეს, უფროსები მხოლოდ სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ საქველმოქმედო აქციას.

## ინფორმაცია

# მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ

მასწავლებლებისთვის ორდღიანი სემინარი – „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“ – გაიმართა. სემინარის მიზანი მასწავლებლების ინფორმირება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შესახებ და ამ პროცესში მათი აქტიურად ჩართვა იყო.

პირველ დღეს სემინარის მონაწილე მასწავლებლებს სიტყვით მიმართეს: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა **დავით ბაქრაძემ**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა **ელენე გოცაძემ**.

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე ისაუბრეს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ **ბორის იაროშევიჩმა** და ლატვიის ელჩმა საქართველოში **ელიტა გაველესმა**. მასწავლებლები, ასევე, გაეცნენ იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც მათ ევროპული პროექტები სთავაზობს.

სემინარში მონაწილეობისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა რეგისტრაცია 2015 წლის თებერვალში გამოაცხადა, რომლის შედეგადაც, თბილისიდან და რეგიონებიდან, გეოგრაფიის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების 100 პედაგოგი შეირჩა.

პროექტი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება. მისი მხარდამჭერები არიან: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, ინტეგრაციის საკითხებში ევროკავშირის დელეგაცია და ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

**თამარ სანიკიძე**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *სემინარზე პედაგოგებმა მიიღეს ინფორმაცია ევროინტეგრაციის პროცესებში ჩართულობისა და თანამონაწილეობის შესახებ. ვისაუბრეთ იმ როლზე, რომელიც კონკრეტულად გვაკისრია ამ პროცესებში და რომელიც ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია. აღინიშნა ისიც, რამდენად აქტუალურია ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადავდგათ, როდესაც ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მოვხვდებით – რა იქნება ჩვენი როლი, როგორ უნდა შევუწყოთ ხელი ამ პროცესების განხორციელებას. ვფიქრობ, საინტერესო იყო, პედაგოგები ამ ყველაფერს პირველი პირებისგან ისმენდნენ, შესაბამისად, იყო ბევრი შეკითხვა და, რა თქმა უნდა, საინტერესო პასუხებიც.*

**დავით ბაქრაძე**, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი: *ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მასწავლებლები მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფია, ინფორმაციისა და კომუნიკაციის სტრატეგიის თვალსაზრისით. ჩვენ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ვატარებთ შეხვედრებს და ვაცნობთ, რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი.*

*მოხარული ვარ, პედაგოგებს რომ შევხვდი. მადლობა მინდა გადავუხადო იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართული იყვნენ სემინარის მომზადებაში. ამ თვალსაზრისით, ჩვენ განათლების სამინისტროსთან ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ, რეგიონებში სემინარებსა და კონფერენციებს ვატარებთ. შემაჯამებელ შეხვედრაზე დავაჯილდოვეთ მასწავლებლები, გვქონდა სასიამოვნო სიურპრიზებიც.*

**მანანა ბახტურიძე**, ვარდისუბნის საჯარო სკოლის დირექტორი: *ამ პროექტში წელს პირველად ვმონაწილეობ, მაგრამ იმ ადამიანებისგან, ვინც პროექტში შარშან ჩაერთო, ამომწურავი ინფორმაცია მაქვს და ამიტომაც გადავწყვიტე წელს საკონკურსო შერჩევაში მონაწილეობა. ვფიქრობ, საინტერესო თემატიკაა, რადგან პედაგოგის როლი მნიშვნელოვანია მოზარდი თაობის ევროპაში ინტეგრაციის პროცესში.*

*მე სკოლის დირექტორი ვარ, ამავე დროს, ვასწავლი სამოქალაქო განათლებას. სემინარზე განხილული საკითხების ცოდნა ჩემს პროფესიულ საქმიანობაში გამომადგება.*

# ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტისა და ლიცენზირების წესთან დაკავშირებით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი იყო განათლების სისტემაში შემავალი სკოლა-პანსიონების სააღმზრდელო ნაწილის ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის საორიენტაციო ჩარჩოსა და პანსიონური მომსახურების ლიცენზიის გაცემის წესის ძირითადი საკითხების შეთანხმება, ვინაიდან, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ“ არ ვრცელდება განათლების სისტემაში არსებულ სასწავლო-სააღმზრდელო სპეციალიზებულ დაწესებულებებზე. მხარეები შეთანხმდნენ უწყებათაშორის თანამშრომლობაზე, რათა მოხდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი ჩარჩოს შენარჩუნება და ზრუნვის სტანდარტი, სპეციფიკის გათვალისწინებით, გავრცელდეს ყველა სკოლა-პანსიონზე.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეები – **ლია გიგაური, გიორგი შარვაშიძე**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **გიორგი თავამაიშვილი**, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე **ზაზა სოფრომაძე**, სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი **მარი წერეთელი**, სახალხო დამცველის აპარატის, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროს და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლები.


*მასწავლებლის ბიბლიოთეკა*



**მასწავლებლის სამუშაო რვეული**

**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი



**მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით**

**საინფორმაციო გზამკვლევი** აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი



**დამრიგებლის პორტფოლიო**

**დამრიგებლის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი



**კათედრის გამგის პორტფოლიო**

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი



**ინტერაქტიური მეთოდების კრებული**

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

**შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:**
**599 88 00 73, 295 80 23**

წიგნის თარო

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**



„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები" თითო ტომის ფასი – 14 ლარი

## ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)** I-VI ტომი, – 11 ლარი
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)** II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული)** I-II ტომი – 16 ლარი
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)** I-II ტომი – 15 ლარი
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),** I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)** I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)** I-VII ტომი –12 ლარი
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული)** I-V ტომი – 12 ლარი
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული)** I-X ტომი – 12 ლარი
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)** I-VI ტომი – 10 ლარი
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)** I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი



ფასი – 15 ლარი

## შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

### ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

*სერიიდან ინტელექტი სკოლას*



წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი";
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი



9 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

## ტესტების კრებულები

### ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
8 ლარი

### მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
5 ლარი

### ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
6 ლარი

### ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
8 ლარი

### ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
4 ლარი

### გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
8 ლარი

### ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
9 ლარი

### ბიოლოგია
აბიტურიენტებისთვის
ლ. ბურდილაძე,
ნ. სიხარულიძე,
ქ. მაღრაძე,
დ. ნაზირიშვილი
პირველი ნაწილი – 10 ლარი
მეორე ნაწილი – 10 ლარი

დიოგენე



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

თამარ ბერიზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



10 ლარი

თამარ ბერიზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

## საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

## თემატური პლაკატები

### დაწყებითი კლასებისთვის

*ფორმატი A2 (42X59.4 სმ)*

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

2.50 ლარი

### მაღალი კლასებისთვის

*ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)*

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

### მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

### რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

*ჩვენი რეკვიზიტებია:* მიმღები – შპს „ახალი განათლება", ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22

# წარმატების ფორმულა



mkurnali.ge

ბუნებრივია, ყველა მშობელს სურს, მისი შვილი წარმატებული პიროვნება იყოს. მაინც რა არის საჭირო იმისთვის, რომ ბავშვი წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბდეს?

ფსიქოლოგების მტკიცებით, ბავშვის შემეცნებითი აქტივობა, მისი ქცევა, პიროვნების განვითარება და მთელი ცხოვრების სცენარიც კი, მთლიანობაში, ბევრად არის დამოკიდებული საკუთარი თავის აღქმასა და მის მიმართ დამოკიდებულებაზე.

სპეციალისტები თვითშეფასების შემდეგ დონეებს გამოყოფენ:

➢ **ადეკვატური** – ასეთია საკუთარი თავის მაღალი (და არა გადაჭარბებული!) თვითშეფასება. საკუთარი თავის ასეთი აღქმა პატარას აძლევს საფუძველს, იყოს აქტიური, ცნობისმოყვარე, კონტაქტური, სიცოცხლის ხალისით სავსე, გულღია და უშუალო. პატარას შეუძლია გაითვალისწინოს უფროსების ან თანატოლების შენიშვნები, მიხვდეს მათ სამართლიანობას, გააცნობიეროს საკუთარი დანაშაული ან შეცდომა. ასეთი ბავშვების მშობლებს არც კი უწევთ დაფიქრება პატარას თვითშეფასების საკითხზე და ეს ბუნებრივიცაა – პატარა ხომ წარმატებით ვითარდება ემოციურად, ინტელექტუალურად თუ სოციალურად.

➢ **გადაჭარბებული** – ასეთ ბავშვებს მაღალი შემეცნებითი და ფიზიკური აქტივობა ახასიათებთ. მათ უყვართ ახალი, ზოგჯერ მეტისმეტად რთული საქმეების წამოწყება, თუმცა ენერგიულობა და იმპულსურობა ხშირად მათი ბოლომდე მიყვანის საშუალებას არ აძლევთ. ასეთი ბავშვები საკუთარ წარუმატებლობას ვერ აღიქვამენ. გადამეტებული თვითშეფასების მქონე პატარები, წესისამებრ, ჭირვეულები, კონფლიქტურები არიან, ადვილად განაწყენდებიან ხოლმე, ახასიათებთ ეგოცენტრულობა, ყურადღების ცენტრში ყოფნის, სხვათა ფონზე გამორჩევის სურვილი, შენიშვნაზე მკვეთრი რეაქცია აქვთ: ყვირიან, ფეხებს აბაკუნებენ, ტირიან. თუმცა ბავშვთა კოლექტივებში ასეთ პატარებს ხშირად ლიდერის პოზიცია უკავიათ.

➢ **დაქვეითებული, ნეგატიური** – ასეთი თვითშეფასება არასასურველია პიროვნების სრულფასოვანი განვითარებისთვის. დაქვეითებული თვითშეფასების ნიშნებია გაუბედაობა, შებოჭილობა, საკუთარი ძალების რწმენის უქონლობა, ემოციური ჩაკეტილობა, მგრძნობიარობა, უკონტაქტობა. პატარა გამუდმებით შფოთავს, ეშინია, უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა, თუმცა კი ამის სურვილი აქვს, ძნელად ადაპტირდება ახალ პირობებთან. ასეთი ბავშვები ყოველგვარ საქმეს წარუმატებლობისთვის განწყობილნი იწყებენ, პოულობენ გადაულახავ წინააღმდეგობებს, წარუმატებლობის შიშით უარს ამბობენ ახალ წამოწყებაზე. საბავშვო კოლექტივში ასეთი პატარები მტირალას მეტსახელს იმსახურებენ.

## ოჯახი და თვითშეფასება

ცნობილია, რომ ოჯახური ატმოსფერო ბავშვის თვითშეფასების ინდიკატორია. მშობლებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ თვითშეფასებას საფუძველი ბავშვობაში ეყრება. ყველაფერი სწორედ მშობლებზე, მათ ტაქტიან და, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, სწორ ქცევაზეა დამოკიდებული.

საერთო ჯამში, სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელია მომატებული თვითშეფასება, ჭარბი წარმოდგენა საკუთარ თავსა და შესაძლებლობებზე. ეს შეიძლება ნორმის ვარიანტად ჩაითვალოს. ამ ასაკის ბავშვს ახასიათებს ბავშვური ეგოცენტრიზმი – ის არის სამყაროს ცენტრში, მის ირგვლივ ბრუნავს ყველაფერი. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ბავშვობა ის პერიოდია, როცა პატარამ სათანადო ოდენობით უნდა მიიღოს ირგვლივ მყოფთა მზრუნველობა, ყურადღება. სწორედ ეს აგრძნობინებს ბავშვს, რომ სიყვარულით არის გარემოცული და დაეხმარება, თავი საჭირო და მნიშვნელოვან პერსონად იგრძნოს.

მხოლოდ საკუთარ თავზე დადებითი წარმოდგენა აძლევს ბავშვს სირთულეთა გადალახვის უნარს და ბედნიერების შეგრძნებას, დადებითი წარმოდგენა კი ახლობელი ადამიანების წყალობით ყალიბდება. მშობლების სიყვარული და მათდამი რწმენაა ბავშვის ოპტიმიზმისა და სრულყოფისადმი სწრაფვის საწინდარი. როცა ბავშვი საკუთარ თავს აღიქვამს როგორც „კარგს“, ის ცდილობს, მართლაც შეესაბამებოდეს მსგავს შეფასებას. ამრიგად, მეტად მნიშვნელოვანია, უფროსებს სჯეროდეთ, რომ პატარა აუცილებლად ისწავლის იმას, რაც არ იცის, შეძლებს გააკეთოს ის, რაც ამ წუთას უჭირს, რომ ის მართლაც კარგი, ჭკვიანი, კეთილი, სამართლიანია.

ჭეშმარიტად თბილი ოჯახური ატმოსფერო, გარემო, სადაც მეფობს ურთიერთპატივისცემა, ნდობა, გაგება, დახმარება, ქმნის პოზიტიურ თვითშეფასებას. თუ ყველაფერი პირიქითაა, აღზრდის უარყოფითი სტილი შესაძლოა უარყოფითი თვითშეფასების ჩამოყალიბების მიზეზად იქცეს. შედეგად თავს იჩენს ნეგატიური ქცევა.

ბავშვის შესაძლებლობებისადმი ჭარბი მოთხოვნა, მის ნაცვლად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება, დამოუკიდებლობის უარყოფა, მუდმივი ზრუნვა და კონტროლი, ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნები, ავტორიტარიზმი საფუძველს უყრიან დაქვეითებულ თვითშეფასებას, ბადებენ ეჭვს საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, შეცდომების შიშს, იწვევენ ინიციატივის დაკარგვას და აჩლუნგებენ საკუთარი ღირსების გრძნობას.

ოჯახში, სადაც არ არის ემოციური კონტაქტი პატარებთან, ბავშვების ირგვლივ ვაკუუმი იქმნება. შედეგად ხასიათში თავს იჩენს ჩაკეტილობა, ბუტიაობა, საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობებისადმი ეჭვი.

ზოგჯერ მშობლები ზედმიწევნით „ზუსტად“ ასრულებენ აღზრდის თაობაზე მიღებულ რეკომენდაციებს, ცდილობენ, ბავშვი „იდეალურად“ გაზარდონ. ასეთ ოჯახში ბავშვი იძულებული ხდება, დათრგუნოს საკუთარი გრძნობები და სურვილები, რის გამოც გულდახურული და ემოციურად ცივი ხდება.

იმ ოჯახებში, სადაც განუწყვეტლივ შფოთავენ ბავშვის ჯანმრთელობისა და წარმატებების გამო (ეს, ჩვეულებრივ, მაშინ ხდება, როცა ბავშვი დედისერთაა, სიბერის შვილია ან ავადმყოფობს), პატარა არ არის დამოუკიდებელი, გაუბედავია, უჭირს გადაწყვეტილების მიღება და მოკლებულია საკუთარი თავის რწმენას.

ბავშვის იგნორირება, მის მიმართ მშობლების გულგრილობა, ყურადღების დეფიციტი, შეგრძნება, რომ არავის უყვარს, არავის სჭირდება, ზედმეტია, ხელს უწყობს არასრულფასოვნების კომპლექსის აღმოცენებას, რომელიც შესაძლოა ადამიანს მთელი სიცოცხლე გაჰყვეს. მეორე მხრივ, უზომო ქება, მუდმივი აღფრთოვანება, ნებისმიერი ახირების დაკმაყოფილება იმით მთავრდება, რომ ბავშვი რწმუნდება საკუთარ განუმეორებლობაში, ყალიბდება ეგოისტად, რომელსაც შეუძლია მხოლოდ მიიღოს და არ გასცეს.

როგორც ვხედავთ, თვითშეფასების ფორმირება ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ეტაპია, საფუძველია მომავალი გამარჯვებებისა და წარმატებების, ისეთი პოზიტიური თვისებებისა, როგორებიც არის საკუთარი თავის პატივისცემა და საკუთარი ღირსების გრძნობა.

ჩვეულებრივ, 7 წლის ასაკისთვის ბავშვის თვითშეფასება უკვე ადეკვატურია. ის რეალურად არეგულირებს პატარას ქცევას. თანდათან ჩნდება საკუთარი თავის შორიდან დანახვის უნარიც.

## რა არის საჭირო პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებისათვის?

➢ მიიღეთ ბავშვი ისეთი, როგორიც არის. ბავშვი მხოლოდ საკუთარ თავს შეადარეთ: მისი დღევანდელი საქციელი – გუშინდელს, მისი მიღწევები – მისივე წარუმატებლობას. პატარას უსაყვედურეთ კონკრეტული საქციელის გამო და არა ზოგადად.

➢ დაიმახსოვრეთ, რომ უარყოფითი შეფასება ინტერესისა და შემოქმედებითი სწრაფვის მტერია. როცა პატარას დავალებას აძლევთ, გაითვალისწინეთ მისი რეალური შესაძლებლობები. დავალება მხოლოდ მაშინ გაართულეთ, როცა ბავშვი ადვილად შეასრულებს იოლ ამოცანას.

➢ შეაქეთ პატარა ინიციატივისთვის, გულწრფელად გაიხარეთ მისი წარმატებით. ეს პატარას საკუთარი ძალების რწმენას შემატებს.

➢ ჩამოუყალიბეთ პატარას საკუთარი ძალების რწმენა, შეაქეთ ის წარმატების შემთხვევაში. ხშირად გააგონეთ: „ყოჩაღ! ვიცოდი, რომ მოახერხებდი!“, „მოინდომე, შენ ეს შეგიძლია!“

➢ გჯეროდეთ მისი. გახსოვდეთ: მშობლების რწმენა და ოპტიმიზმი ბავშვს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების სწორ შეფასებას უყალიბებს.

➢ პატარას მაშინ დაეხმარეთ, როცა ეს აუცილებელია, როცა ხედავთ, რომ თქვენ გარეშე კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას ვერ შეძლებს.

➢ დაეხმარეთ პატარას, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები. ეს ხელს შეუწყობს ბავშვის პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას.

➢ ბავშვთან ერთად გააანალიზეთ მისი ხასიათის ნეგატიური თავისებურებები, ცუდი საქციელი, გამოიტანეთ სწორი დასკვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენს შვილს გადამეტებული წარმოდგენა ექნება საკუთარ თავზე და შემდგომში მტკივნეულ რეაქციას გამოიწვევს ყველა დაბრკოლება, რომელიც ცხოვრების გზაზე აუცილებლად შეხვდება.

➢ ასწავლეთ პატარას საკუთარი თავის პატივისცემა.

➢ ეცადეთ, გამოუმუშაოთ ბავშვს ადამიანებთან ურთიერთობის ჩვევა და მეგობრების წარმატებებით აღფრთოვანების უნარი.

**მარიკა დვალი**

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK